არჩევანი ნავიგაციასა და ნამცხვრებს შორის A3



ოქროსფერი ქალები B2



ტიმ ბარტონმა ციყვები გაწვრთნა B8

www.24hours.ge

# 24 საათი

ყოველდღიური

© გაზეთი 24 საათი

პარასკევი, 8 აპრილი, 2005 წელი. №79 (939)

ფასი 50 თეთრი

## ამბები

### „სპეცოპერაცია" კონსერვატორების ოფისში



კონსერვატიული პარტიის ოფისის დარბევის ფაქტს "მემარჯვენეები" და თავად "კონსერვატორები" ხელისუფლების მიერ ოპოზიციასთან ანგარიშსწორების და დაშინების მცდელობად მიიჩნევენ.

A2

## ამბები

### კიდევ ერთი მუშტი-კრივი გურჯაანის გამგეობაში

გუშინ გურჯაანის გამგეობის თანამშრომლები კიდევ ერთი "სანახაობის" მოწმენი გახდნენ. სოციალური განყოფილების გამგემ იზა თერგიაშვილმა რძალ-დედამთილ ელისო და ლელა ცხვედიაშვილებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. კაბინეტში ატეხილი აყალმაყალი კი, თერგიაშვილის ძმამ "დააგვირგვინა".

A2

## ამბები

### მეწარმეები კოდექსის გადახედვას ითხოვენ

გუშინ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარესთან ლევან ბეჟაშვილთან ბიზნესმენთა ფედერაციის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. საუბრის ძირითადი თემა მეწარმეებისათვის ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ის პაკეტი გახდა, რომელიც იურიდიულ კომიტეტში მომზადდება. თუმცა შეხვედრაზე ბიზნესმენები ამ საკითხებს გასცდნენ და ყველამ თავისი სფეროსთვის განსაკუთრებულად მწვავე თემაზე გააკეთა კომენტარი.

A3

## ამინდი

| | 8/4 | 9/4 | 10/4 |
|---|---|---|---|
| თბილისი | 18 | 16 | 18 |
| ქუთაისი | 21 | 19 | 22 |
| ბათუმი | 20 | 21 | 22 |
| სოხუმი | 21 | 21 | 22 |
| ფოთი | 22 | 21 | 23 |
| თელავი | 17 | 15 | 17 |
| ლაგოდეხი | 19 | 19 | 18 |
| ზუგდიდი | 22 | 22 | 23 |
| სენაკი | 21 | 20 | 23 |
| გორი | 14 | 13 | 16 |
| ახმეტა | 18 | 16 | 18 |
| ჭიათურა | 16 | 16 | 19 |
| გაგრა | 20 | 19 | 22 |
| სამტრედია | 21 | 20 | 23 |
| ზესტაფონი | 21 | 20 | 23 |

## უცხოური ვალუტის ოფიციალური კურსი ლართან მიმართებაში

| | |
|---|---|
| აშშ დოლარი | 1.8325 |
| ევრო | 2.3606 |
| ბრიტანეთა სტერლ. | 3.4469 |
| რუბლი | 0.0656 |


| A | | B | |
|---|---|---|---|
| ამბები | A2 | რევიუ | B2 |
| ამბები | A3 | სპორტი | B3 |
| ამბები | A4 | სხვადასხვა | B4 |


# ყველა გზა რომში მიდის

## დღეს იოანე პავლე მეორეს დაკრძალვაა

მელორ სტურუა
*საქ. კორ. აშშ*

იტალიის დედაქალაქს პილიგრიმთა ის რაოდენობა, რაც დღეს რომშია ჩასული პაპთან გამოსათხოვებლად, ჯერ არ ახსოვს. დაკრძალვამდე ორი დღის განმავლობაში იოანე პავლე მეორესთან გამოთხოვება მილიონზე მეტმა ადამიანმა შეძლო. ვატიკანში წმინდა პეტრეს მოედანზე მყოფი ხალხი წმინდა მამასთან გამოსათხოვებლად საათობით მოთმინებით ელოდა თავის რიგს. ხუთშაბათს, დაკრძალვის წინა დღეს, რიგით მოკვდავთათვის წმნიდა პეტრეს ტაძრის კარი რამდენიმე საათით დაიკეტა, რათა საშუალება მისცემოდათ უცხოეთის ოფიციალურ დელეგაციებს, უკანასკნელი პატივი მიეგოთ რომის პაპის ხსოვნისათვის.

უსაფრთხოების უპრეცედენტო ზომები იქნა მიღებული უცხოური სამთავრობო დელეგაციების დასახვედრად. ვატიკანში არსებული წესების თანახმად, წმინდა პეტრეს მოედანსა და ტაძარში იარაღის ტარების

გაგრძელება A4 გვერდზე



გლოვა ვატიკანში.

## პარლამენტარის პროტესტი

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე სალომე სამადაშვილი პროტესტს გამოთქვამს იმასთან დაკავშირებით, რომ რუსეთის პრეზიდენტი ვლადიმირ პუტინი აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელებს შეხვდა. მოსკოვსა და თბილისს შორის შეთანხმების თანახმად, რუსეთის ოფიციალურ პირებს უფლება არა აქვთ, ქართული მხარის თანხმობის გარეშე, სეპარატისტებთან მოლაპარაკებები გამართონ.

რუსულ მედიაზე დაყრდნობით, სალომე სამადაშვილი აცხადებს, რომ ვლადიმირ პუტინის შეხვედრა ბაგაფშთან და კოკოითთან მიზნად ისახავდა ერთობლივი ღონისძიებების შემუშავებას იმ შემთხვევისთვის, თუ აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი "საფრთხის წინაშე" აღმოჩნდებიან. ქართველი პარლამენტარის თქმით, აღნიშნული ინფორმაციის დადასტურების შემთხვევაში, ოფიციალური თბილისი მასზე სათანადო რეაგირებას მოახდენს.

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეჟიმების ხელმძღვანელებთან რუსეთის პრეზიდენტის შეხვედრას სალომე სამადაშვილი ქართული სამშვიდობო ინიციატივის საბოტაჟის მცდელობად აფასებს.

*24 საათი*

# დაპატიმრება მეორედ

## ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ძველი საქმე გაუხსენეს

*"ხავერდოვანი რევოლუციის" შემდეგ დაწყებული ხმაურიანი სადამსჯელო ოპერაციების პირველი მსხვერპლი, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი მერაბ ჟორდანია ძალოვანთა რისხვის ობიექტი კვლავ გახდა. დაჭერების მეორე წრეზე წასულმა სამართალდამცველებმა მერაბ ჟორდანია გუშინ „მრგვალ ბაღთან" დააკავეს და ფინანსურ პოლიციაში მიიყვანეს. მოგვიანებით ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი წინასწარი დაკავების იმ საკანში გადაიყვანეს, სადაც ერთი წლის წინ უკვე იმყოფებოდა.*

ინგა ალავიძე

მიუხედავად იმისა, რომ მერაბ ჟორდანია ფინანსურ პოლიციაში დაკითხვებზე ცხადდებოდა და საგამოძიებო მოქმედებებისთვის თავი არ აურიდებია, მის დასაკავებლად ოპერატიული ღონისძიების ჩატარება მაინც აუცილებელი გახდა, რადგან როგორც სამართალდამცველები აცხადებენ, **„ჟორდანია უახლოეს დღეებში შვეიცარიაში აპირებდა გამგზავრებას და მისი დაკავება სასწრაფოდ სწორედ ამიტომ მოხდა".**

სხვათა შორის, გასული წლის 12 დეკემბერს თბილისის აეროპორტში საზღვრის უკანონო გადაკვეთის ბრალდებით დაკავებული მერაბ ჟორდანიას შესახებ მაშინაც ითქვა, რომ ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი პარიზში გამგზავრებას აპირებდა.

ბრალდება, რომელიც მერაბ ჟორდანიას გუშინ წაუყენეს, საზოგადოებისთვის უცხო არ ყოფილა.

ერთი წლის წინ შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ 741 ათასი ლარის გადასახადის ბიუჯეტისთვის დამალვაში დადანაშაულებული მერაბ ჟორდანია ერთ-ერთი პირველი იყო, ვინც ბიუჯეტს თანხა უკან დაუბრუნა, რის სანაცვლოდაც, თავისუფლება მიიღო. თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროში მაშინვე განაცხადეს, რომ ჟორდანიას საქმის გამოძიება კვლავ გაგრძელდებოდა. არ გამორიცხეს არც ის, რომ გამოძიების პროცესში მერაბ ჟორდანიას მილიონობით დოლარის გადამალვის ბრალდებაც დაემატებოდა - შსს-ს საგამოძიებო დეპარტამენტი ჟორდანიას საქმეში მიგნებულ "ახალ გარემოებებზე" მაშინვე ალაპარაკდა. საუბარი იყო შვეიცარიის ბანკში მიგნებულ 4 მილიონ დოლარზე, რომელიც, სავარაუდოდ, მერაბ ჟორდანიას ანგარიშზე უნდა ყოფილიყო გადარიცხული და რომლის წარმომავლობის მოკვლევაც დაიწყეს. ამ მიზნით, გენერალურმა პროკურატურამ შვეიცარიელ კოლეგებს შვეიცარიის ბანკში ქართველ თანამდებობის პირთა არსებული ანგარიშების შესახებ ინფორმაციის მოწოდებაც კი სთხოვა.

გაგრძელება A4 გვერდზე

## პოზიტიური შედეგის მოლოდინში

*საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროში გუშინ სამხედრო საკითხებზე ქართულ-რუსული მოლაპარაკებები დაიწყო. მხარეებს საგანგებო დავალებათა ელჩები ლევ მირონოვი და მალხაზ მიწელაძე წარმოადგენენ.*

მხარეები, ძირითადად, საქართველოდან სამხედრო ბაზების გაყვანისა და ქვეყნებს შორის სავიზო რეჟიმის გამარტივების საკითხებს განიხილავენ. როგორც მირონოვმა მოლაპარაკებების დაწყებამდე განაცხადა, ეს არის ერთგვარი გაგრძელება იმ მოლაპარაკებებისა, რომლებიც თავის დროზე რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრის სერგეი ლავროვის თბილისში ვიზიტის დროს და მოსკოვში გაიმართა. **"ამჯერად იმ პრინციპული საკითხების რეალიზებასა და ქაღალდზე გადატანას შევეცდებით, რომლებზეც თბილისში ვიმსჯელეთ და შეთანხმებას მივაღწიეთ,"** - განაცხადა მირონოვმა.

მიმდინარე მოლაპარაკებებზე გუშინ კომენტარი გააკეთა საქართველოს საგარეო უწყების ხელმძღვანელის მოადგილემ კახა სიხარულიძემ, რომლის თქმითაც, **"როგორც ჩანს, რუსული მხარე არ არის მზად მოლაპარაკებებისათვის".** სიხარულიძის თქმით, პრესითა თუ მასობრივი ინფორმაციის სხვა საშუალებებით გავრცელებული არცერთი ინფორმაცია, რომელიც მოლაპარაკების ამა თუ იმ დეტალთან არის დაკავშირებული, სიმართლეს არ შეესაბამება. **"ჩვენ შეთანხმებული ვართ რუსეთის დელეგაციასთან, რომ მოლაპარაკების დასრულებამდე არ გავცეთ ინფორმაცია და კომენტარი ამ თემაზე არ გავაკეთოთ,"** - განაცხადა მან. მიუხედავად ამისა, მინისტრის მოადგილე იმედს გამოთქვამს, რომ მოლაპარაკებებს პოზიტიური დასასრული ექნება.

ორი ქვეყნის დელეგაციებს შორის მოლაპარაკებები 3–4 დღეს გასტანს.

*24 საათი*

# სრულყოფილი კაპიტანი

## ალექსანდრე ჩივაძე - 50

გიორგი გორგოძე

*"ფეხბურთში სრულყოფილებაზე ოცნება გარდაუვალია. სრულყოფილება არა მარტო ბურთის ფლობაა, თუნდაც ვირტუოზული ფლობა, არა მარტო მახვილგონივრული ფინტები და ზუსტი დარტყმებია, თუმცა, მის გარეშე ფეხბურთი საერთოდ არ არსებობს. სრულყოფილება სილამაზის იდეის ერთგულება და საკუთარი მოვალეობის შეგნებაა იმ მილიონობით ადამიანის წინაშე, რომლებსაც ეს თამაში სჭირდებათ". – წერდა ცნობილი საფეხბურთო მიმომხილველი ვალერი ვინოკუროვი თბილისის დინამოელებისადმი მიძღვნილ სტატიაში "ოსტატობაც და შთაგონებაც" და იქვე მაგალითად დინამოელთა კაპიტანი მოჰყავდა: "ჩივაძე – ურყევი ავტორიტეტი, წინამძღოლი ცხოვრებაში და მოედანზე, დიდი ოსტატი, რომელსაც ყველა პატივს სცემს".*

*დღეს, 8 აპრილს, დინამოელთა ყველაზე წარმატებულ კაპიტანს 50 წელი შეუსრულდა. გავიხსენოთ ის ბედნიერი დრო, როცა საშას და მისი მეგობრების თამაში ჭეშმარიტ სიხარულს და ბედნიერებას გვანიჭებდა.*

ფეხბურთი რომ ფანტაზია და მშვენიერების სიყვარულია, ეს კარგად იცოდა იმ დროისთვის სიყვარულში შეუმცდარმა ქართველმა გულშემატკივარმა. ხალხის სიყვარული სხვაა, მისი ფასი კი – განუზომელი. როგორ გინდა მოუყვე დღევანდელ თაობას საშა ჩივაძის სრულქმნილი, დახვეწილი, ღირსეული, გონიერი, ესთეტიკური და უბრალოდ ლამაზი თამაშის შესახებ, განა ფეხბურთი მოყოლით იქნება? მით უმეტეს, რომ ნამდვილად ვერ ვიქნები მიუკერძოებელი საყვარელი ფეხბურთელისა და მეგობრის მიმართ, რომლის თამაში დღევანდელ "ფანობას" სულ რამდენიმე ტელეჩანაწერით თუ უნახავს. ამიტომ ვირჩევ იმდროინდელი ავტორიტეტული უცხოური პრესის ხშირ ციტირებას.

გაგრძელება B1 გვერდზე



## კაპიტანთა სკოლის პირველი გამოშვება საქართველოში

ვერიკო თევზაძე

კაპიტანთა სკოლა, ანუ კაპიტანთა საკარიერო კურსი პირველი ამერიკული პროგრამაა, რომელიც თავდაცვის ეროვნულ აკადემიაში ამერიკის მთავრობის დახმარებით ხორციელდება. 12-კვირიანი სწავლება ითვალისწინებს ქვეითი ასეულების მეთაურების და ბატალიონის შტაბის ოფიცრების სამეთაურო საშტაბო მომზადებას.

პროგრამა მიზნად ისახავს ნატოს ერთიანი სტანდარტებიდან გამომდინარე უნარების განვითარებას და სამშვიდობო ოპერაციებში აღნიშნული სტანდარტებით მოქმედებას. სწავლებისას აქცენტი გამახვილებულია საბრძოლო ამოცანის მიღებისას მეთაურის ფუნქცია-მოვალეობებზე და მეთაურის, როგორც ლიდერის, უნარ-ჩვევების ამაღლებაზე.

კაპიტანთა სკოლის ინსტრუქტორებს (ისინი აკადემიის ბაზაზე ამერიკელებმა მოამზადეს) კონსულტაციას უწევდა ამერიკის უსაფრთხოების სფეროში თანამშრომლობის და სწავლების მართვის ცენტრის ინსტრუქტორი დევიდ პადოკი.

კაპიტანთა საკარიერო კურსი წელს 17 იანვარს გაიხსნა. ახალი ნაკადი 3 მაისიდან შეუდგება მეცადინეობას.

დღეს თავდაცვის სამხედრო აკადემიაში კაპიტანთა სკოლის პირველი გამოშვების 13 მსმენელს საზეიმო ვითარებაში გადასცემენ სერტიფიკატებს. ღონისძიებაზე მიწვეული არიან საქართველოს შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსი ლევან ნიკოლეიშვილი, ამერიკა-საქართველოს ურთიერთთანამშრომლობის ცენტრის ხელმძღვანელები და სამხედრო დიპლომატიური კორპუსის წარმომადგენლები.

## „სპეცოპერაცია" კონსერვატორების ოფისში

*კონსერვატიული პარტიის ოფისის დარბევის ფაქტს "მემარჯვენეები" და თავად "კონსერვატორები" ხელისუფლების მიერ ოპოზიციასთან ანგარიშსწორების და მისი დაშინების მცდელობად მიიჩნევენ.*



"კონსერვატორების" დარბეული ოფისი.

ლევან ხერხეულიძის ფოტო

გუშინ გამთენიისას პარტიის სათავო ოფისი დაარბიეს. "კონსერვატორთა" ლიდერები ამ შემთხვევას მათ მიერ ფინანსური პოლიციის წინააღმდეგ წამოწყებულ კამპანიას უკავშირებენ. **"ყველაფერი ეს გათვლილი იყო ინფორმაციის მოპოვებაზე,"** - განაცხადეს გუშინდელ საგანგებო ბრიფინგზე "კონსერვატორებმა".

მიუხედავად იმისა, რომ პარტიის ოფისიდან გატანილია კომპიუტერული ტექნიკა და დისკები, ზვიად ძიძიგურის და კობა დავითაშვილის განმარტებით, ხელისუფლებისთვის საინტერესო ინფორმაცია კვლავ საიმედოდაა დაცული და უცხო პირთათვის ხელმიუწვდომელია (იგულისხმება კონსერვატორების ხელთ არსებული ინფორმაცია ფინანსური პოლიციის საქმიანობის შესახებ).

კობა დავითაშვილი თავისი პარტიის ოფისის ძარცვის ფაქტს "სპეცოპერაციას" უწოდებს. ზვიად ძიძიგური კი პირდაპირ აცხადებს: **"მოვუწოდებთ ვანო მერაბიშვილს - მან უკვე ნახა კომპიუტერები, და ისიც ნახა, რომ იქ არ არის მათთვის საჭირო მასალები, დაგვიბრუნონ ნაძარცვი!"**

**"დამნაშავე, რომელიც გამოძიებამ უნდა გამოავლინოს, უბრალოდ, შემსრულებელია. "სპეცოპერაციის" ორგანიზატორი კი, ძალოვანი სტრუქტურები არიან. ხელისუფლება ოპოზიციას ავიწროებს,"** - ასეთია კონსერვატიული პარტიის ლიდერთა პოზიცია. ამ მოსაზრებას "მემარჯვენე" ფიქრია ჩიხრაძეც ეთანხმება.

*24 საათი*

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტი რომის პაპის იოანე-პავლე II გარდაცვალებასთან დაკავშირებით საქართველოში ვატიკანის საელჩოს ეწვია და სამძიმრის წიგნში ჩანაწერი გააკეთა. "ვწუხვარ იოანე-პავლე II-ის გარდაცვალების გამო. ბედნიერი ვარ, რომ მე მას შევხვედრივარ," - ნათქვამია ჩანაწერში. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** რომის პაპის იოანე პავლე II-ის დაკრძალვის ცერემონიაში მონაწილეობის მისაღებად საქართველოს საპატრიარქოს სამკაციანი დელეგაცია ვატიკანში გაემგზავრა. დელეგაციის შემადგენლობაში არიან ცხუმ-აფხაზეთის მიტროპოლიტი, მეუფე დანიელი, ზუგდიდისა და ცაიშის ეპისკოპოსი, მამა გერასიმე და დეკანოზი გიორგი ზვიადაძე. ვატიკანში საქართველოს დელეგაციისათვის საგანგებო მიღება არ იგეგმება. ქართველი დელეგაციის წევრები მონაწილეობას მხოლოდ დაკრძალვის ცერემონიალში მიიღებენ. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** თავდაცვის მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი გვიან ღამით გორში დისლოცირებული მესამე სამხედრო ბრიგადის მესამე ბატალიონში მივიდა. ბატალიონში მინისტრის სტუმრობის შესახებ არაფერი იცოდნენ. ოქრუაშვილის ბრძანებით, 450-მდე ახალწვეულმა გორის ქუჩებში 8 კილომეტრი მარშით ირბინეს. მათი მომზადებით მინისტრი კმაყოფილი დარჩა, თუმცა აღნიშნა, რომ დაახლოებით თვენახევარში მათ მიზანში სროლაში გამოცდის ჩაბარება მოუწევთ. "თვენახევარში მე და ბრიგადის მეთაური ჩხაიძე სროლაში შეგეჯიბრებით. ეს დრო მომზადებისთვის სრულიად საკმარისია და ვისაც გაჯობებთ, ვაი, მისი ტყავის ბრალი", - განაცხადა თავდაცვის მინისტრმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა დაადასტურა ინფორმაცია, რომ უარი განაცხადა სოჭში ჩასვლაზე, სადაც 5 აპრილს რუსეთის ფედერაციის პრეზიდენტის ვლადიმირ პუტინის, სოხუმისა და ცხინვალის დე ფაქტო ხელისუფლებების ლიდერების - ბაგაფშისა და კოკოითის შეხვედრა შედგა. "მე არ ჩავედი სოჭში, რადგან ასეთ შეხვედრას მომზადება სჭირდება," - აღნიშნა სააკაშვილმა. საქართველოს პრეზიდენტის თქმით, იგი არ აპირებს, ბაგაფშს ან კოკოითს სადმე ეახლოს და მზად არის, მათ თბილისში შეხვდეს. "მივცემ მათ ჩემი სამსახურისა და სახლის მისამართს და, შეუძლიათ, მომაკითხონ. ჩვენ მზად ვართ გახსნილად სასაუბროდ და მშვიდობისთვის, ოღონდ ეს მშვიდობა სამართლიანი უნდა იყოს," - განაცხადა პრეზიდენტმა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ზურაბ ნოღაიდელმა გუშინ ბელგიის პარლამენტის თავმჯდომარე ჰერმან დე კრუსი მიიღო. ნოღაიდელის განცხადებით, შეხვედრაზე ბელგიელ სტუმარს მან საქართველოში მიმდინარე რეფორმები და სამომავლო გეგმები გააცნო. ჰერმან დე კრუსის განცხადებით, ევროპაში დიდი ენთუზიაზმით შეხვდნენ "ვარდების რევოლუციას" და იმედოვნებენ, რომ საქართველოში ყველა ის რეფორმა გატარდება, რაც ქვეყნის განვითარებას და დემოკრატიის განმტკიცებას შეუწყობს ხელს. მოგვიანებით, ჰერმან დე კრუსი საქართველოს პრეზიდენტმა მიხეილ სააკაშვილმა მიიღო. **ინტერ-პრესი**

## მოსკოვის მერს სანქტ-პეტერბურგის ხელმძღვანელობამაც მიბაძა

რუსეთის ბიზნეს-წრეების წარმომადგენლები აფხაზეთის თვითაღიარებულ რესპუბლიკაში საქმიან ვიზიტებს განაგრძობენ. ამჟამად სოხუმში იმყოფება სანკტ-პეტერბურგის კომპანია "კორონას" გენერალური დირექტორი ალექსანდრე კაჩალოვი და კომპანიის დირექტორთა საბჭოს ხელმძღვანელი ჰასან ბერგოევი.

ისინი აფხაზეთის საკურორტო ინფრასტრუქტურით არიან დაინტერესებული და სოხუმის დე ფაქტო ხელისუფლების ლიდერთან სერგეი ბაგაფშთან შეხვედრისას ინვესტიციების განხორციელების შესაძლებლობებზე იმსჯელეს. განიხილეს, აგრეთვე, სანკტ-პეტერბურგში აფხაზეთის ტურისტული წარმომადგენლობის გახსნის საკითხიც.

*მედიანიუსი*

## კიდევ ერთი მუშტი-კრივი გურჯაანის გამგეობაში

*გუშინ გურჯაანის გამგეობის თანამშრომლები კიდევ ერთი "სანახაობის" მოწმენი გახდნენ. სოციალური განყოფილების გამგემ იზა თერგიაშვილმა რძალ-დედამთილ ელისო და ლელა ცხვედიაშვილებს ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა. კაბინეტში ატეხილი აყალმაყალი კი, თერგიაშვილის ძმამ "დააგვირგვინა".*

ზვიად რუაძე
კახეთიდან

როგორც გურჯაანელები ხუმრობენ, რაიონის გამგეობა სპორტსკოლას უფრო ემსგავსება, ვიდრე საჯარო დაწესებულებას. ბოლო ხანებში გამგეობის შენობაში მესამე მუშტი-კრივი გაიმართა.

ელიკო და ლელა ცხვედელიშვილები უკვე მეოთხე თვეა, რაც რაიონის სოციალური განყოფილების გამგეს, იზა თერგიაშვილს კუთვნილი დახმარებისთვის მიმართავენ. მათი ოჯახის უფროსი, ომის ვეტერანი, რამდენიმე ხნის წინ გარდაიცვალა. კანონის თანახმად კი, ასეთი კატეგორიის ოჯახის წევრებს 250 ლარით სახელმწიფო ეხმარება. ცხვედელიშვილები გამგეობის სოციალურ სამსახურში, კუთვნილი თანხის მისაღებად, უკვე მეორედ მივიდნენ. აღნიშნული უწყების გამგემ კი პასუხის უჩვეულო მეთოდს მიმართა. დაზარალებული ქალბატონების თქმით, მათ თერგიაშვილმა ტელეფონის ყურმილი ესროლა. მათივე საუბრიდან ირკვევა, რომ იზა თერგიაშვილთან დახმარებისთვის მისულ ქალბატონებს თავიანთი პრეტენზიების თქმა ხმამაღლა უწევდათ, თერგიაშვილის საქციელის შემდეგ კი ხმაურიანი საუბარი ფიზიკურ ანგარიშსწორებაში გადაიზარდა. იმის ნაცვლად, რომ მოჩხუბარი ქალბატონები გაეშველებინა, მეორე ოთახში მყოფმა სოცგამგის ძმამ, ცხვედელიშვილები ფიზიკური ზეწოლით ოთახიდან გაყარა. **"და-ძმის გაღიზიანება ჩვენმა ერთმა სიტყვამ გამოიწვია. ჩვენ ვკითხეთ, თუ რაში იღებდა იზას საღსალამათი ძმა ყოველთვიურად ოთხმოცდაათლარიან დახმარებას. სიტყვები არც კი გვქონდა დამთავრებული, რომ კაბინეტში მისი ძმა შემოვარდა და ჩვენზე ფიზიკური ზეწოლა მოახდინა. ბოლოს კი იზამ ხელი მკრა და გარეთ გამომისროლა. წავიქეცი, თითები მაქვს მომტვრეული,"** - ამბობს დაზარალებული ელისო ცხვედელიშვილი.

მომხდარს სოცდახმარების განყოფილებაში არ ადასტურებენ. ამბობენ, რომ რძალ-დედამთილი ცხვედელიშვილები მათთან პროვოკაციის მიზნით მივიდნენ. წაქცევის ფაქტს კი იმით ხსნიან, რომ ელისო ცხვედელიშვილმა ფეხი კარის ჩარჩოს წამოკრა. იზა თერგიაშვილმა კომენტარის გაკეთება არ ისურვა, რადგან, როგორც მისმა მოადგილემ გვითხრა, სოცდახმარების გამგე მომხდართან დაკავშირებით შოკურ მდგომარეობაში იმყოფება.

რაც შეეხება ელისო ცხვედელიშვილს, მას უკვე სამედიცინო გამოკვლევა ჩაუტარდა, სადაც აღნიშნულია, რომ თითები აქვს მომტვრეული, ხოლო სხეულზე დაჟეჟილობა აღენიშნება. მომხადრის შესახებს ინფორმაცია უკვე რაიონულ პოლიციაში შევიდა და მასალების მოკვლევა მიმდინარეობს.

## აღმოჩნდება თუ არა ტროლეიბუსი ისტორიის სანაგვეზე?

*17 მარტს თბილისის მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომელიც ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის შემცირების გამო პარკის ტერიტორიის რეალიზებას ითვალისწინებს. მძღოლებმა "რეალიზებაში" ტრამვაი-ტროლეიბუსების პარკის ტერიტორიის გაყიდვა და სამსახურის დაკარგვა ამოიკითხეს და არც მთლად უსაფუძვლოდ.*

ნანა ქადაგიშვილი

იყო დრო, თბილისში 350 ტროლეიბუსი დადიოდა. 1973 წელს პირველი ტროლეიბუსი "დინამოს" სტადიონიდან ყოფილი მარქსის მოედნისკენ გაემართა. "დღეს ტროლეიბუსს ვინღა აფასებს," - სინანულით ამბობენ ხნიერი მძღოლები. ბოლო წლებში ბევრ მათგანს ტრანსპორტის ან პროფესიის შეცვლა მოუწია და გამორიცხული არ არის, მათი ბედი კიდევ ბევრმა გაიზიაროს.

დღეს თბილისში 350-დან 120 ტროლეიბუსიღა შემორჩა. მათგან 42 შპს "ტრამვაი-ტროლეიბუსების საწარმოს" ქეთევან წამებულის გამზირზე მდებარე ფილიალს ეკუთვნის. როგორც დირექტორმა ამირან ჭიჭინაძემ განგვიცხადა, ფილიალს 3 ჰექტარი ტერიტორია უკავია და იქ 161 კაცია დასაქმებული. ქალაქის მთავრობის დადგენილებამ ეს ხალხი პანიკაში ჩააგდო და დახმარებას ზოგი საკრებულოს ოპოზიციას სთხოვს, ზოგიც - მთავრობას. ფრაქცია "მემარჯვენეებმა" ეს საკითხი საკრებულოს ბოლო სხდომაზეც გამოიტანა. **"ამბობენ, ისანში მდებარე პარკის ტერიტორიას ერთ-ერთი პარლამენტარი ყიდულობს ბაზრობის გასაკეთებლადო,"** – განაცხადა "მემარჯვენეების" ლიდერმა გიორგი მოსიძემ. მძღოლებმა კი ამ პარლამენტარის ვინაობა დააკონკრეტეს, კობა ბექაურზეა საუბარიო. თუმცა, თვითონ ბექაური ამ ფაქტს უარყოფს.

აღნიშნული ფილიალის გარდა, ქალაქის მთავრობაში საბურთალოზე მდებარე დეპოს ტერიტორიის გაყიდვაზეც სერიოზულად საუბრობენ. რაც შეეხება ტრანსპორტის ამ სახეობების ექსპლუატაციიდან ამოღებას, ტრამვაი ჩვენს დედაქალაში, ფაქტობრივად, უკვე ისტორიას ჩაბარდა, რადგან, როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, იგი ავარიულ სახლებს საფრთხეს უქმნის. ტროლეიბუსების ბედი კი ქალაქის ხელმძღვანელობას ჯერ ვერ გადაუწყვეტია.

არავინ უარყოფს, რომ ტროლეიბუსი სამარშრუტო ტაქსებსა და ავტობუსებს კონკურენციას კარგა ხანია, ველარ უწევს. თუმცა, ქალაქში ისეთი მცხოვრებიც ბლომად შემორჩა, 10 თეთრიანი ტრანსპორტის გაუქმება გულს რომ დასწყვეტს. ხშირად გვინახავს დენგათიშულ ტროლეიბუსში მოხუცები ჯიუტად რომ სხედან და დენის ჩართვას ელიან, რადგან სხვა ტრანსპორტით მგზავრობის ფული არ აქვთ. სხვათა შორის, ეს მოძველებული, მოდიდან გამოსული ტრანსპორტი, ფეხით მოსიარულეთა ფილტვებისთვისაც სასარგებლო ყოფილა, რადგან ეკოლოგიურად ყველაზე სუფთა ტრანსპორტია. თანაც, არც მისი შენახვა ჯდება ძალიან ძვირი. როგორც ტრანსპორტის საქალაქო სამსახურში გვითხრეს, ერთ კილოვატ ელექტროენერგიაში 6 თეთრს იხდიან. ამიტომაც ქალაქის მთავრობას ტროლეიბუსი ისტორიისთვის ჩასაბარებლად ჯერ არ ემეტება.

**"ტროლეიბუსების ორი პარკი გვაქვს, საბურთალოსა და ისანში. არ გამოვრიცხავ, რომ ორივე გაიყიდოს. თუმცა, ჯერ საბოლოოდ არაფერი გადაგვიწყვეტია. უპირველესად ის უნდა მოვიფიქროთ, ტროლეიბუსი საერთოდ გვჭირდება თუ არა, ან ქალაქის რომელ ნაწილში გვჭირდება. პირადად მე არ ვარ მომხრე, რომ ტრანსპორტის ეს სახეობა მთლიანად ამოვიღოთ ექსპლუატაციიდან. საბოლოო გადაწყვეტილებას ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის წინადადებების მიხედვით მივიღებთ. რაც შეეხება აღნიშნული ტერიტორიის მომავალ მყიდველს, ჭორები კობა ბექაურზეც დადის, ჩემთან ებრაელებიც იყვნენ მოსულები, აღნიშნული ფართის ყიდვა უნდოდათ, მაგრამ თუკი დეპოს ტერიტორიის გაყიდვა გადავწყვიტეთ, ყველაფერი ტენდერის შემდეგ გაირკვევა,"** – განგვიცხადა ქალაქის პრემიერმა თემურ ქურხულმა.

ტრანსპორტის საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელობის წინადადებები კი, სავარაუდოდ, ტროლეიბუსების ბედს მათ სასარგებლოდ გადაწყვეტს. **"ტროლეიბუსი ეკოლოგიურად სუფთა, ევროპაში მიღებული ტრანსპორტია. მისი მარშრუტები ქალაქის ცენტრიდან გარეუბნებში უნდა გადავიტანოთ. დეპოების გაყიდვას მხოლოდ იმ შემთხვევაში დავთანხმდებით, თუკი პრივატიზაციიდან შემოსული თანხა ტროლეიბუსების ახალი ხაზების გაყვანას მოხმარდება. მოსახლეობას შევპირდით, რომ ქეთევან წამებულის გამზირიდან 31-ე ქარხნამდე მიმავალი ტრამვაის ნაცვლად ტროლეიბუსს დავნიშნავდით,"** – აცხადებს სამსახურის უფროსი ზურაბ ჩიკვილაძე.






მთავარი რედაქტორი მამუკა ფაჩუაშვილი. პაატა ვეშაპიძე (მმართველი რედაქტორი), დავით ნინიკაშვილი (პასუხისმგებელი რედაქტორი), ვიქტორ გათიკაშვილი (გენერალური დირექტორი), ირაკლი ლეჟავა (მარკეტინგის მენეჯერი). დიზაინი: გიორგი ხმალაძე, ავთო შარვაშიძე. კომპიუტერული ცენტრი: თამაზ ჩხაიძე (მენეჯერი), მაია ყიასაშვილი, დიმიტრი შალუტაშვილი, გიორგი ბერიაშვილი, თენგიზ ქირია, პაატა ქორიძე, ლელა წიქარიშვილი,. სტილი: ნანა ჯოხარიძე, ნინო სვანიძე, ხათუნა გოგიშვილი, ძიძია ძნელაძე, ლია თოფურია. რეკლამა - ზურაბ ჯაოშვილი.

# არჩევანი ნავიგაციასა და ნამცხვრებს შორის

### 360 ათასი დოლარი დანიურ კომპანიაში გაირეცხა?

*რა უფრო სჭირდება სახელმწიფოს - ნამცხვრები თუ ნავიგაცია? რა თქმა უნდა, ასეთი აბსურდული კითხვა არც დაისმებოდა, რომ არა ერთი არანაკლებ აბსურდული გარემოება. "24 საათი" ადრეც წერდა სახელმწიფო საწარმო "საქაერონავიგაციის" სახელთან დაკავშირებული ფინანსური მაქინაციებისა და კორუფციული გარიგებების შესახებ, მაგრამ ის, რის შესახებაც ქვემოთ გიამბობთ, ყველა ზღვარს სცილდება. რა აფიორაში გაეხვია საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ასოციაცია (IATA) და რატომ ირიცხებოდა "საქაერონავიგაციიდან" ასიათასები კომპანიაში, რომელიც ნამცხვრების გარდა არაფერს აწარმოებს?*

ოთარ ქირია

შპს "საქაერონავიგაცია" 1993 წლიდან არსებობს და უზრუნველყოფს საქართველოს საჰაერო სივრცეში საჰაერო ხომალდების ორგანიზებას, აფრენა-დაფრენის დისპეტჩერულ მომსახურებას საქართველოს აეროპორტებში. მოკლედ, ყველა ავიაკომპანია თუ ავიასაწარმო, რომელიც გამოიყენებს საქართველოს ცას და საქართველოს აეროპორტებში სადისპეტჩერო მომსახურებას, ფულს(და, თანაც, საკმაოდ, ბევრს) უხდის "საქაერონავიგაციას". თერთმეტი წლის განმავლობაში (2004 წლის თებერვლამდე) ამ უწყებას ხელმძღვანელობდა ალექსანდრე სილაგაძე – როგორც ამბობენ, სამოქალაქო ავიაციის დეპარტამენტის ყოფილი უფროსის, ამჟამად პატიმრობაში მყოფი ზურაბ ჭანკოტაძის ახლო მეგობარი, ყოფილი უშიშროების სამინისტროს მაღალჩინოსნის ძმა, "რესპუბლიკა ბანკი"-ს ერთ-ერთი დამფუძნებლის სიძე. დღეს ალექსანდრე სილაგაძე საქართველოში არ იმყოფება. როგორც მისი ადვოკატი (ასევე ზურაბ ჭანკოტაძის-აც), გოჩა სვანიძე არცთუ დიდი ხნის წინ ამბობდა, სილაგაძე ავადმყოფობს და სამკურნალოდ ქვეყნიდან არის გასული. ეს განცხადება მაშინ გაკეთდა, როცა სილაგაძის სასამართლოში არ გამოცხადება ითქვა ისიც, რომ სილაგაძე გულის პრობლემებს მედიაში აქტიური "შავი პიარის" შემდეგ შეექმნა.

ალექსანდრე სილაგაძეს მედიასთან გარკვეული პრობლემები მართლაც შეექმნა. მაგალითად, "24 საათს" სასამართლოში უჩივლა და პროცესი დღესაც მიმდინარეობს. თავად სილაგაძეს, თავის მხრივ, "საქაერონავიგაციამ" უჩივლა და პროცესიც მოუგო. სასამართლოში სხვა პროცესებიც მიმდინარეობს. პარალელურად, სხვა საქმეებზე მუშაობს პროკურატურაც. თავის დროზე, პროკურატურამ რამდენიმე საქმე შეაჩერა კიდეც, მაგრამ მაშინვე კულუარებში "ჩაწყობებზე" ალაპარაკდნენ. დღეს ალბათ სიტუაცია შეიცვლება. ამჯერად გთავაზობთ კიდევ ერთ ფაქტს, რომელსაც "საქაერონავიგაციაში" ჰქონდა ადგილი.

1998 წლის 30 იანვარს პირველი, ხოლო იმავე წლის 14 აპრილს გაფორმდა მეორე ხელშეკრულება "საქაერონავიგაიციასა" და დანიურ კომპანია "დან ქეიქს" შორის. პირველი ხელშეკრულება ფორმდება 300 ათას, ხოლო მეორე – 60 ათას აშშ დოლარზე. 300 ათასად "დენ ქეიქიდან" სილაგაძე ყიდულობდა "გამოსახულებისა და დინამიკური საჰაერო მდებარეობის სისტემის ავტომატიზირებულ სამუშაო ადგილებს" (რუსულიდან ნათარგმნია სიტყვა-სიტყვით), ხოლო 60 ათას დოლარად – "ხმოვანი სიგნალების და რადიოლოკაციური მდებარეობის ჩამწერ ციფრულ სისტემას" (მაგნიტოფონი გრანიტ-პე).

"დან ქეიქი" 1931 წელს ჯენს ესკილდსენმა დანიის სოფელ სიმელკიაერში დააარსა. თავდაპირველად ესკილდსენის საცხობი მხოლოდ სოფელს ემსახურებოდა, შემდგომში რეგიონს, 1959 წლიდან კი მან ქვეყნის გარეთაც გააღწია და მალე სკანდინავიაში პურპროდუქტებისა და ტკბილეულის უმსხვილესი მწარმოებელი გახდა. 2001 წლიდან "დან ქეიქის" პურპროდუქტების წარმოების ხაზი შეისყიდა ევროპის უმსხვილესმა კომპანიამ "კამპს ეიჯიმ", ხოლო ნამცხვრებისა და ტკბილეულის ხაზში კი ინვესტიცია გერმანულმა "კუხენმეისტერმა" და დანიურმა "გივესკო"-მ ჩადეს. კომპანიის ხელმძღვანელად "დან ქეიქის" დამაარსებლის შთამომავალი დაინიშნა და, მიუხედავად უცხოელი ინვესტორის არსებობისა, კომპანია მოწყობითა და კულტურით მაინც დანიურად რჩება. პროდუქციას კი დღესაც "დან ქეიქის" ლოგო ამშვენებს. ევროპაში და მსოფლიოში "დან ქეიქ"-ის ტკბილეული და პურპროდუქტები ერთ-ერთ საუკეთესოდ ითვლება. მისი ნაწარმი საქართველოშიც კარგა ხანია, იყიდება.

"დან ქეიქის" პროდუქციის ნუსხაში ნახავთ ათასგვარ ნამცხვრებს, ორცხობილებს, ტრიუფელებს, შაქარლამას, პუდინგებს, კრემიან და უკრემო ფუნთუშებს და მრავალ სხვა ტკბილეულს, მაგრამ ვერ ნახავთ ვერც საჰაერო მდებარეობის ავტომატიზირებულ სამუშაო სისტემებს, ვერც რადიოლოკაციური სისტემებისთვის საჭირო ციფრულ ჩამწერებს. მიუხედავად ამისა, ხელშეკრულება "საქაერონავიგაციასა" და "დან ქეიქს" შორის მაინც დაიდო. რა თქმა უნდა, ასეთი უცნაურობების გამო მაშინვე გაჩნდებოდა კითხვები, მაგრამ აქ საქმე კიდევ რამდენიმე საინტერესო ნაბიჯთან გაქვს.

"საქაერონავიგაციაში" ამ შეთანხმების საქმეში არ დევს ხელშეკრულება, რომელიც გაფორმებულია "საქაერონავიგაციასა" და "დან ქეიქს" შორის. უფრო სწორად, საქართველოში ხელშეკრულება კი დევს, მაგრამ ის არ არის გაფორმებული "დან ქეიქთან". სამუშაოს შემსრულებელი, ქართულ არქივში არსებული ხელშეკრულების მიხედვით, არის დახურული სააქციო საზოგადოება "დი პორტო", რომელიც პეტერბურგშია დაფუძნებული.

სამაგიეროდ, იმავე ნომრისა და იმავე შინაარსის მქონე ხელშეკრულება, ოღონდ არა "დი პორტოსთან", არამედ "დან ქეიქთან" გაფორმებული, თავის დროზე საქართველოს მხარემ საერთაშორისო საჰაერო მიმოსვლის ასოციაციას (IATA) მიაწოდა (საქაერონავიგაციის ამჟამინდელმა ხელმძღვანელობამ ეს ხელშეკრულება მხოლოდ ახლა გამოითხოვა). რატომ? იმიტომ, რომ ფულს სილაგაძე თბილისიდან კი არ რიცხავდა, არამედ IATA-დან იღებდა. როგორ? IATA კერძო საწარმოა, მაგრამ მისი მომსახურებით სარგებლობს მსოფლიოს სანავიგაციო სამსახურები, ავიაკომპანიები, აეროპორტები და ავიასაწარმოები. მარტივად რომ ვთქვათ, სანავიგაციო მომსახურებისთვის "საქაერონავიგაცია" თანხას არ იღებს პირდაპირ ავიაკომპანიისგან. ავიაკომპანია ფულს რიცხავს IATA-ში, რომელსაც შემგროვებელი სააგენტოს ფუნქცია აკისრია. IATA კრეფს ამ თანხას, აგროვებს და შემდეგ ურიცხავს მომსახურების გამწევს, ანუ, ამ შემთხვევაში, "საქაერონავიგაციას". ასევე იღებენ აეროპორტები ავიაკომპანიებისგან თანხებს და ა.შ. ასეთი მომსახურებისთვის IATA პროცენტს იღებს და მასში გაერთიანება თითქმის სავალდებულოდ ითვლება. წინააღმდეგ შემთხვევაში, შესაძლოა, საერთაშორისო ავიასივრცეში ვერც მიიღონ.

ანუ, "საქაერონავიგაციის" მთავარი ფულის წყარო გახლავთ IATA. სწორედ მას დაავალა "საქაერონავიგაციამ" და სილაგაძემ ფულის "დან ქეიქში" გადარიცხვა. მაგრამ IATA ასე იოლად როდი რიცხავს აქით-იქით თანხებს. მან, რა თქმა უნდა, მოითხოვა საფუძველი ამ გადარიცხვისა და ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც "საქაერონავიგაციას" "დან ქეიქის" თანხა მართებს. სწორედ ამ მოთხოვნის შემდეგ მოხვდა IATA-ში ხელშეკრულება "საქაერონავიგაციასა" და "დან ქეიქს" შორის. 1998 წელს სხვადასხვა პერიოდში IATA-ში გაიგზავნა სილაგაძის წერილი იმის თაობაზე, რომ თანხები გადარიცხულიყო არა "საქაერონავიგაციის", არამედ "დან ქეიქის" ანგარიშზე. "24 საათის" ხელთ არსებული წერილების მიხედვით, სილაგაძე ითხოვს ხან 40 ათასი, ხან 50 ათასი, ხან 20 ათასი აშშ დოლარის გადარიცხვას. მათი ჯამი კი შეადგენს 360 ათას დოლარს, ანუ ორი ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას.

და მაინც, შემოიტანა თუ არა სილაგაძემ რამე საქართველოში? საქმეში, რომლითაც, სხვათა შორის, უკვე პროკურატურაც დაინტერესდა, ფიგურირებს განბაჟების საბუთი, რომელიც ძალიან ჰგავს გაყალბებულ დოკუმენტს. ჯერ ერთი იმიტომ, რომ საუბარია ამხელა ღირებულების პროდუქციის შემოტანაზე, ივსება სპეციალური ფორმა, რომელიც დაცულ ქაღალდზე იბეჭდება და მასში ათასგვარი დეტალური გრაფის შევსებას ითხოვენ. საქმეში არსებულ ერთგვერდიან განბაჟების დოკუმენტში კი თანხაც გაურკვევლად არის მითითებული და საქონლის წარმომავლობაც. არც საბაჟოს მონაცემებია დეტალურად მოცემული. თუმცაღა დოკუმენტის ერთ-ერთ გრაფაზე პატარა ასოებით, მაგრამ მაინც გარკვევით არის მიწერილი მაგნიტოფონი "გრანიტ-პე", ანუ ის, რაც ხელშეკრულებაში ფიგურირებდა. სხვა საქონლის დასახელება საბაჟო დოკუმენტში სიტყვასიტყვით არ არის გადატანილი, აქ გაურკვევლად არის მითითებული რაღაც კომპიუტერები. საერთოდ, საკითხავია, ეს დოკუმენტი არის დოკუმენტი თუ არა.

ამას, ალბათ, მალე პროკურატურა გაარკვევს, მანამდე კი "24 საათი" შემოგთავაზებთ "საქაერონავიგაციის" ამჟამინდელი ხელმძღვანელობისა და "დან ქეიქის" ხელმძღვანელს შორის მიმოწერის ფრაგმენტებს.

***"საქაერონავიგაცია":***
***ძვირფასო ბატონებო,***
***ჩვენს საწარმოში მიმდინარე შიდა აუდიტის გამო, დაინტერესებულნი ვართ ორ ძველ კონტრაქტთან დაკავშირებული საკითხებით. ხომ ვერ შეძლებდით, მოგეწოდებინათ რამდენიმე დეტალი საქაერონავიგაციასა და დან ქეიქს შორის გაფორმებულ კონტრაქტებთან დაკავშირებით: N7 1998 წლის 30 იანვარი და N 10/112 1998 წლის 14 აპრილი. ორივე მათგანი ხელმოწერილია დოელ უილემანსის (ვიცე პრეზიდენტი) და ა. სილაგაძის (დირექტორის) მიერ.***
***წინასწარ მადლობას გიხდით თქვენი შეუფასებელი დახმარებისთვის.***

***"დან ქეიქი":***
***ძვირფასო ბატონებო,***
***მე მინდა გაცნობოთ, რომ ჩვენ არ ვიცნობთ ამ სახელისა და გვარის პერსონებს. ასევე არ გვქონია არანაირი პირდაპირი ბიზნეს ურთიერთობა თქვენს კომპანიასთან. ჩვენ ვეცდებით დაგეხმაროთ, მაგრამ ამისათვის გვჭირდება უფრო ზუსტი ინფორმაცია.***

***"საქაერონავიგაცია":***
***ძვირფასო ბატონებო,***
***გმადლობთ თქვენი სწრაფი გამოხმაურებისთვის. ამჯერად გიგზავნით კონტრაქტის ასლს (N7) და გთხოვთ გამოხატოთ თქვენი პოზიცია აღნიშნულთან დაკავშირებით.***
***სამწუხაროდ ჩვენ მოგვეპოვება მხოლოდ რუსული ვერსია.***

***"დან ქეიქი":***
***ძვირფასო ბატონებო,***
***სამწუხაროდ ჩვენ არ გვაქვს შესაძლებლობა წავიკითხოთ კონტრაქტი რუსულ ენაზე, მაგრამ, როგორც ჩანს, ის სავაჭრო ხასიათისაა. ჩვენ გაცნობებთ, რომ არც ჩვენს დანიურ და არც ყოფილ საბჭოეთის (მ.შ. მოსკოვის) არცერთ ოფისში არ უმუშავია როლელ უილემანსს. ამასთან არც ერთი ყოფილი საბჭოეთთან ურთიერთობაში ჩაბმული თანამშრომელი აღარ მუშაობს ჩვენთან, ასე რომ შემდგომი ინფორმაციის მიწოდება ჩვენთან შეუძლებელია. შესაბამისად, ჩვენ შეგვიძლია მოგაწოდოთ მხოლოდ შემდეგი ფაქტები:***
***1. ჩვენ ჩვენს არქივებში არ გვაქვს ამ კონტრაქტის ასლი და ჩვენი კონტრაქტები, რომლებიც იყო რუსულ ენაზე ასევე ფორმდებოდა ინგლისურ ენაზეც.***
***2. ჩვენ არასოდეს არაფერი მიგვიწოდებია და არც ანგარიში წარგვიდგენია კონტრაქტში მოყვანილი კომპანიისათვის.***
***3. ასევე არანაირი საკომისიო ან სხვა გასამრჯელო გადაგვიხდია კონტრაქტში მოყვანილი პიროვნებებისათვის.***
***ვწუხვართ, რომ არ გვაქვს შესაძლებლობა დაგეხმაროთ.***

აქ ბევრი უცნაურობაა, თუ დანიელებს რუსული კითხვა არ ძალუძთ, მაშინ საიდან იციან, რომ კონტრაქტი სავაჭრო ხასიათის არის. გარდა ამისა, არსებობს დოკუმენტები, უფრო სწორად, საბანკო შეტყობინებები, სადაც გარკვევით წერია, რომ თანხა IATA-დან სწორედ "დან ქეიქ"-ში გადაირიცხა. ამას და იმასაც, თუ ვინ არის "დი პორტოს" დირექტორი ალექსანდრ მალკოვი, ალბათ, პროკურატურა გაარკვევს. დღეისათვის კი, "საქაერონავიგაციის" სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარე გიორგი კარბელაშვილი აცხადებს, რომ: **"საქართველოს კუთვნილი მილიონების გაფლანგვის უამრავი ფაქტი არსებობს. ინფორმაცია გადაცემულია პროკურატურაშიც. ეს არ არის შემთხვევა, როცა მხოლოდ მილიონების რეცხვასთან გვაქვს საქმე. აქ საუბარია ქვეყნის უსაფრთხოებაზე, საერთაშორისო იმიჯზე და საერთაშორისო ორგანიზაციების დამოკიდებულებაზე, რომელიც საქართველოს ევროინტეგრაციისათვის სჭირდება. დღეს გაჩნდა რეალური შანსი იმისა, რომ ქართული ნავიგაცია მსოფლიო კოლეგების გვერდით ღირსეულად დადგეს, ევროკონტროლში გავერთიანდეთ, აქედან გამომდინარე ევროგაერთიანებისკენ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადავდგათ და მსოფლიო ავიაციაში სრულფასოვანი ადგილი დავიმკვიდროთ. მერწმუნეთ, სანამ იარსებებენ სილაგაძეები და ადამიანები, რომლებმაც ქართული ავიაციის ნგრევას მიუძღვნეს საქმიანობა, ასეთი პერსპექტივები არ გვექნება. საქართველომ ყველა საერთაშორისო ორგანიზაციასთან დააფიქსირა უკვე პოზიცია, რომ ჩვენ ვებრძვით კორუფციას და უყურადღებოდ არ დავტოვებთ არც ერთ სამართალდარღვევას, იქნება ეს საერთაშორისო თუ ადგილობრივ დონეებზე, იქნება ეს ხუთი, ათი თუ ერთი წლის წინანდელი."**

## ორი სიტყვით

**თბილისი.** საქართველოს გაერთიანებული სადისტრიბუციო ენერგოკომპანიის ქუთაისის მომსახურების ცენტრი გაუმრიცხველიანებელი აბონენტების ინდივიდუალურად ჩაჭრას აგრძელებს. მიმდინარე კვირაში სამუშაოები მთლიანად დასრულდება. ამჟამად გათიშულია 9 ათასი გაუმრიცხველიანებელი აბონენტი. გამრიცხველიანების თანხის გადახდის შემდეგ ელექტროენერგიის მიწოდება 500-ზე მეტ მომხმარებელს აღუდგა.

28 მარტს დაწყებული ინდივიდუალური გათიშვები ძირითადად იმ ფიდერებს შეეხო, რომლითაც ე.წ. სასიცოცხლო ობიექტები იღებენ ელექტროენერგიას და ამის გამო მიმდებარე ქუჩების მოსახლეობა პრივილეგირებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** 20-24 აპრილს სასტუმრო "შერატონ მეტეხი პალასში" გაიმართება ინდური პროდუქციისა და ტექნოლოგიების გამოფენა, რომელზეც წარმოდგენილი იქნება ფარმაცევტული პროდუქცია, ჩაი, ყავა, სამკაულები, სათამაშოები, ველოსიპედები, ტყავის ნაწარმი, საავტომობილო ნაწილები, სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, ელექტრომოწყობილობები და სხვა. გამოფენა ეწყობა ინდოეთის სავაჭრო სამრეწველო პალატის, ინდოეთის საელჩოსა და საქართველოს სავაჭრო სამრეწველო პალატის ორგანიზებით. იგი დილის 11 საათიდან 19 საათამდე გაგრძელდება. გამოფენაზე დასწრება უფასოა. **მედიანიუსი**

■ ■ ■

**თბილისი.** საქართველოში ევროპული სავაჭრო პალატის პრეზიდენტად დირექტორთა საბჭომ კომპანია "ყაზბეგის" პრეზიდენტი გოგი თოფაძე აირჩია.

ევროპული სავაჭრო პალატის ლირექტორთა საბჭოს ახალ შემადგენლობაში არჩეული არიან კომპანიების - "ჯეოსელის", "სამგორის", "ვაზიანის", "ინტელექტბანკის", "ვილი ბეტსის", "ბეგიაშვილი და კომპანიის", "იმედი-ლ"-ის ხელმძღვანელობა.

კონფერენციამ დაამტკიცა საერთაშორისო საარბიტრაჟო სასამართლოს ახალი შემადგენლობაც, გენერალურ მდივნად არჩეულია რამაზ კლიმიაშვილი. **მედიანიუსი.**




# მეწარმეები კოდექსის გადახედვას ითხოვენ

*გუშინ პარლამენტის იურიდიული კომიტეტის თავმჯდომარესთან ლევან ბეჟაშვილთან ბიზნესმენთა ფედერაციის წარმომადგენლების შეხვედრა გაიმართა. საუბრის ძირითადი თემა მეწარმეებისათვის ადმინისტრაციული ბარიერების მოხსნასთან დაკავშირებული საკანონმდებლო ცვლილებების ის პაკეტი გახდა, რომელიც იურიდიულ კომიტეტში მომზადდება. თუმცა შეხვედრაზე ბიზნესმენები ამ საკითხებს გასცდნენ და ყველამ თავისი სფეროსთვის განსაკუთრებულად მწვავე თემაზე გააკეთა კომენტარი.*

თამარ ივანიძე

ბიზნესმენთა მხრიდან მწვავე შეფასებები ძირითადად ახალ საგადასახადო კოდექსთან დაკავშირებთ გამოითქვა. მათი პრეტენზიები ეხებოდა როგორც კოდექსის ადმინისტრაციულ ნაწილს, ისე საგადასახადო განაკვეთებსაც.

თამბაქოს ბიზნესით დაკავებული მეწარმეები ამ პროდუქციაზე მაღალ საქციზო განაკვეთებს აპროტესტებდნენ, რამაც, მათი თქმით, ბაზარზე ქაოსი გამოიწვია და კონტრაბანდას გზა გაუხსნა;

შპს "მზეკაბანის" წარმომადგენელი ირაკლი გელაშვილი კი იმპორტირებული ფქვილის უკონტროლობას უჩიოდა. მისი თქმით, **"არ ხდება შემოსული ფქვილის ხარისხის შემოწმება და მისი სერტიფიცირება, რის გამოც ბაზარზე დაბალი ხარისხის პროდუქტი ხვდება, ადგილობრივი ნაწარმი კი მას კონკურენციას ვერ უწევს. თუ ასე გაგრძელდება, ყველა მარცვალგადამამუშავებელი საწარმო გაჩერდება",** - აცხადებს გელაშვილი.

რაც შეეხება მეღვინეებს, ისინი საზღვარგარეთ ქართული სამარკო ნიშნების დაცვის აუცილებლობაზე საუბრობდნენ. საერთაშორისო სავაჭრო პალატის ხელმძღვანელის დიმიტრი ჯაფარიძის თქმით, ქართული სამარკო ნიშნების გამოყენება, საქართველოში წარმოებულთან შედარებით, საზღვარგარეთ წარმოებულ ღვინოებზე 2-3-ჯერ უფრო მეტია.

**"იქმნება საფრთხე, რომ განსაკუთრებით რუსულ ბაზარზე ასე პოპულარული და საუკუნეების მონაპოვარი ქართული ღვინის სახელები დაიკარგოს",** - განაცხადა ჯაფარიძემ.

მეწარმეები ახალი საგადასახადო კოდექსის მიღების 3 თვის თავზე მისი გადახედვის აუცილებლობაზე საუბრობენ. ბიზნესმენთა ფედერაციის აღმასრულებელი დირექტორის გიორგი ისაკაძის განცხადებით, ძალოვანი ქმედებებით იაფი კონტრაბანდის შეჩერება შეუძლებელია.

მისივე თქმით, პრობლემის მოსაგვარებლად ეკონომიკური ბერკეტების ამოქმედებაა საჭირო. ისაკაძე უკმაყოფილოა აგრეთვე იმით, რომ საგადასახადო კოდექსიდან მთავრობა კერძო არბიტრაჟის მოქმედების ნორმის ამოღებას აპირებს. მისი თქმით კერძო არბიტრაჟის საშუალებით საგადასახადო დავების მოგვარების ნორმა ყველაზე მნიშვნელოვანი იყო ახალ კოდექსში.

**"აქედან გამომდინარე მიჩნდება ეჭვი, რომ მთავრობა ასეთივე წარმატებით არ შეასრულებს დღგ-ს 20 პროცენტიან განაკვეთის 18 პროცენტამდე დაწევის გადაწყვეტილებას. რომელიც მოქმედი კოდექსით ძალაში რამდენიმე თვეში უნდა შევიდეს",** - განაცხადა ისაკაძემ.

მთავრობის ინიციატივით საგადასახადო კოდექსში კერძო არბიტრაჟის ამოქმედების ვადა 3 წლითაა გადაწეული. ცვლილებების პროექტს საპარლამენტო კომიტეტები იხილავენ.

# აუქციონზე ორი ობიექტი გაიყიდა

*ეკონომიკური განვითარების სამინისტროს მიერ გუშინ ჩატარებულ აუქციონზე მხოლოდ ის ორი ობიექტი გაიყიდა, რომელზედაც სამინისტრომ აუქციონი წელს უკვე მესამედ გამოაცხადა. მიღებულმა შემოსავალმა 300 ათასი აშშ დოლარი შეადგინა.*

შპს "ალფას" საწესდებო კაპიტალში შესული დაუმთავრებელი მშენებლობა და ქობულეთში მდებარე რესტორანი "თეთრი გედი" გუშინ 165-165 ათას აშშ დოლარად გაიყიდა. ორივე მათგანის საწყისი ფასი 160 ათასი დოლარი იყო.

პირველი ობიექტი, რომელიც თბილისში, დიდუბეში მდებარეობს, ფიზიკურმა პირმა იოსებ იობაშვილმა შეიძინა. მისი თქმით, ახლად შეძენილ ტერიტორიაზე სპორტული კომპლექსი აშენდება.

რესტორანი "თეთრი გედი" ერთ-ერთმა ტურისტულმა კომპანიამ "რუსსკაია ტროიკამ" შეიძინა, რომლის წარმომადგენლებს ამ ობიექტთან დაკავშირებით სამომავლო გეგმებზე არანირი განცხადება არ გუკეთებიათ.

გაუყიდავი დარჩა გუშინდელ აუქციონზე ის ოთხი ობიექტი, რომლის პრეზენტაცია ეკონომიკური განვითარების სამინისტრომ ზუსტად ერთი კვირის წინათ მოაწყო.

შპს "კამაზი 2002"-ზე, ს/ს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებულ ყოფილი ავტოფარეხის შენობაზე, ამავე ობიექტის სასადილოს შენობასა და შპს "დიანდჰესზე" უკანასკნელი ერთი კვირის განმავლობაში სამინისტროში არც ერთი განაცხადი არ შესულა, თუმცა სამინისტროში იმედს გამოთქვამენ, რომ ამ ობიექტებს მსურველი აუცილებლად გამოუჩნდება.

გუშინვე სამინისტრომ იმ ხუთი ობიექტის პრეზენტაცია მოაწყო, რომლის გაყიდვა ზუსტად ერთ კვირაში, 14 აპრილისთვის არის დაგეგმილი. ესენია: შპს "აგრეგატი", რომლის საწყისი გასაყიდი ფასი 1 000 000 აშშ დოლარია; შპს "საქართველოს ტელევიზიისა და რადიოს ინსტიტუტი" - სახელმწიფო წილი 100 პროცენტი, საზოგადოებას არ გააჩნია უძრავი ქონება და დაფუძნებულია ძირითადი საშუალებების აქტიურ ნაწილზე (საწყისი ფასი 40 000 აშშ დოლარი); ს/ს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული ყოფილი მართვის სისტემების ქარხნის N3 კორპუსი, მასზე დამაგრებული 19.693 კვ.მ. მიწის ფართობით (საწყისი ფასი 800 000 აშშ დოლარი); ს/ს "ორიონის" საწესდებო კაპიტალიდან ამოღებული N60, N60ა, N60ბ მსუბუქი კონსტრუქციების დროებითი ნაგებობები 15405 კვ.მ. მიწის ნაკვეთით (საწყისი ფასი 200 000 აშშ დოლარი); მეცხოველეობის ყოფილი სანაშენე მეურნეობის ადმინისტრაციული შენობა, 2909 კვ.მ. მიწის ნაკვეთით (საწყისი ფასი 20 000 აშშ დოლარი).

14 აპრილს სამინისტროს პრივატიზების პოლიტიკის დეპარტამენტი 2005 წლის პირველ კვარტალში გაწეული მუშაობისა და შედეგების შესახებ მოხსენების გაკეთებასაც გეგმავს.

*24 საათი*

# ტენდერი სარკინიგზო მაგისტრალზე

მიმდინარე წლის 4-5 აპრილს ქალაქ ბაქოში ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის განხორციელებასთან დაკავშირებულ საკითხებზე სამმხრივი (საქართველო, აზერბაიჯანი, თურქეთი) სამუშაო ჯგუფის მეორე შეხვედრა გაიმართა, რომელშიც საქართველოს მხრიდან ეკონომიკური განვითარების მინისტრის მოადგილე კახა სეხნიაშვილი და შპს "საქართველოს რკინიგზის" წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. სხდომაზე გადაწყდა, რომ რკინიგზის აღნიშნულ მონაკვეთზე აუცილებელი მარკეტინგული კვლევის ჩატარებისა და ტექნიკურ-ეკონომიკური დასაბუთების მოსამზადებლად გამოცხადდება საერთაშორისო ტენდერი. 2005 წლის მაისის ბოლომდე სამივე ქვეყნის ექსპერტების მონაწილეობით მომზადდება მარკეტინგული კვლევის განხორციელებისათვის საჭირო სატენდერო დოკუმენტაცია. კვლევების დამთავრების სავარაუდო თარიღად 2005 წლის პირველი სექტემბერი განისაზღვრა.

მინისტრთა სამმხრივი შეხვედრის ფარგლებში განხილულ იქნება შემდეგი საკითხები: ყარსი-ახალქალაქი-თბილისი-ბაქოს დამაკავშირებელი სარკინიგზო მაგისტრალის პროექტის საბოლოო რედაქცია; საქართველოს ტერიტორიაზე ტერმინალის, ლიანდაგის შეცვლის და ტვირთების გადაზიდვის საბოლოო განსაზღვრა; მხარეების მიერ პროექტის დაფინანსების საკითხი და უცხოური ქვეყნების დაინტერესებული რკინიგზების, კრედიტორების და ინვესტორების მოზიდვის საკითხი; ერთობლივი საწარმოს შექმნის საკითხი (სააქციო საზოგადოება, კონსორციუმი) სარკინიგზო მაგისტრალის მშენებლობის და შემდგომი ერთობლივი ექსპლუატაციის მიზნით.

*24 საათი*

# გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობა აღდგა

*გუშინ მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე ტრანსპორტის მოძრაობა აღდგა. დიდთოვლობისა და ზვავების გამო დაკეტილი გზის გახსნას კობში გაჩერებული 250 მანქანა ერთი თვე ელოდა.*

დიანა ჩაჩუა

მარტის თვეში საქართველოს მთიან და მაღალმთიან ზონაში უხვი თოვლი მოვიდა. განსაკუთრებული მძიმე მდგომარეობა გუდაური-კობის მონაკვეთზე შეიქმნა. გუდაურში თოვლის საფარმა 355 სანტიმეტრს მიაღწია, ჯვრის უღელტეხილზე კი - 364 სანტიმეტრს.

ერთი თვის განმავლობაში გადაკეტილი გზის გახსნას 250 მანქანა ელოდა. გუშინ, გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობის აღდგენას საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარე რომან დალაქიშვილი და პრეზიდენტის რწმუნებული მცხეთა-მთიანეთში ვასილ მაღლაფერიძე ესწრებოდნენ.

**"თითოეული ზვავშემკრები კერიდან ზვავების ჩამოსვლა დაახლოებით 3-6-ჯერ დაფიქსირდა. მიუხედავად ამისა, საავტომობილო დეპარტამენტის კონტრაქტორი ორგანიზაციის შპს "საქართველოს სამხედრო გზის" მიერ გზის გაწმენდა მოხერხდა და მოძრაობაც აღდგა,"** - განაცხადა საავტომობილო გზების დეპარტამენტის თავმჯდომარემ რომან დალაქიშვილმა. რაც შეეხება ჩატარებული სამუშაოების ხარჯებს, თანხები ჯერ დადგენილი არ არის. როგორც ვასილ მაღლაფერიძემ აღნიშნა, აღნიშნულ რეგიონში ჯერ კიდევ დარჩენილია სოფლები, რომლებთანაც კვლავ არ არის დაკავშირების შესაძლებლობა. **"შესაბამისად, გაწმენდით სამუშაოებზე დახარჯული თანხები შესაძლოა უფრო გაიზარდოს,"** - განაცხადა მაღლაფერიძემ.

უნდა აღინიშნოს, რომ მეტეოროლოგიური სადგურების განცხადებით, საქართველოში ამ რაოდენობის ნალექი ბოლო 120 წლის განმავლობაში არ დაფიქსირებულა.

მცხეთა-ყაზბეგი-ლარსის საავტომობილო გზაზე არსებული რთული მეტეოროლოგიური პირობების გამო, გზის გუდაური-კობის მონაკვეთზე მოძრაობის სპეციალური წესებია დადგენილი - დასაშვებია ყველა სახის ტრანსპორტის მოძრაობა მოცურების საწინააღმდეგო ჯაჭვებით. გამონაკლისად ითვლება მისაბმელიანი, ნახევრადმისაბმელიანი და დიდი ზომის მანქანები.

# მეორედ დაპატიმრებულ ფეხბურთის ფედერაციის ყოფილ პრეზიდენტს ძველი საქმე გაუხსენეს

პირველი გვერდიდან

გენერალური პროკურატურის მოთხოვნაში, მერაბ ჟორდანიას გარდა, დავით მირცხულავასა და ლევან მამალაძის გვარებიც იყო მითითებული.

ერთი სიტყვით, ფინანსურმა პოლიციამ გუშინ მერაბ ჟორდანიას ძველი საქმე გაუხსენა და ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი განსაკუთრებით დიდი ოდენობით თანხის გაფლანგვაში დაადანაშაულა. ფინანსური პოლიციის უფროსის დავით კეზერაშვილის განცხადებით, 2005 წლის 14 მარტს ჩატარებული სასამართლო-საბუღალტრო ექსპერტიზის შედეგად დადგინდა, რომ 1998 წელს კლუბ „დინამოს" შვეიცარიის საბანკო ანგარიშიდან ჟორდანიას პირად ანგარიშზე ჩაირიცხა მილიონ სამასი ათასი გერმანული მარკა და ეს თანხა, გამოძიების მასალების მიხედვით, არამიზნობრივად დაიხარჯა. ამასთან, კლუბის ბუღალტერიაში დოკუმენტურად დაფიქსირებული არ არის შვეიცარიის ბანკიდან ხუთი მილიონი გერმანული მარკის, 800 ათასი შვეიცარიული ფრანკისა და მილიონი დოლარის მიღების ფაქტი.



*ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვაშია დადანაშაულებული.*

გენერალური პროკურორის მოადგილის გიორგი ჯანაშიას განცხადებით, ფინანსური პოლიციის საგამოძიებო დეპარტამენტში აღძრულ სისხლის სამართლის საქმეს არანაირი შეხება არ აქვს იმ საქმესთან, რომელიც მერაბ ჟორდანიას მიმართ 2004 წელს გადასახადებისგან თავის არიდების ფაქტზე იყო აღძრული. გარდა ამისა, გიორგი ჯანაშიამ მერაბ ჟორდანიასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების შესაძლებლობაც გამორიცხა.

ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტი განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხის მითვისება-გაფლანგვაშია დადანაშაულებული. საქმე სისხლის სამართლის კოდექსის 182-ე მუხლის მესამე ნაწილითაა აღძრული, რაც 6-დან 12 წლამდე პატიმრობას ითვალისწინებს.

გუშინ კიდევ ერთი მოულოდნელი ამბავი გახდა ცნობილი. ფეხბურთის ფედერაციის ყოფილი პრეზიდენტის მიერ წინასწარი დაკავების საკანში მიღებული გადაწყვეტილება მისმა ადვოკატმა შალვა შავგულიძემ გაახმოვანა. საქმე ისაა, რომ მერაბ ჟორდანიამ ადვოკატს გადასცა განცხადება, რომლითაც ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტის უფლებამოსილება მოიხსნა და თავის მოადგილეებს ფედერაციის პრეზიდენტის რიგგარეშე არჩევნების მომზადება დაავალა. სხვათა შორის, გავრცელებული ინფორმაციით, მერაბ ჟორდანიას მეორედ დაპატიმრებას პოლიტიკური საფუძველი ჰქონდა. საუბარია ფედერაციის პრეზიდენტის თანამდებობის გამოთავისუფლებაზე, რისთვისაც გადანახული, ძველი საქმე გამოიყენეს. საფეხბურთო კულუარებში უკვე ასახელებენ ახალი პრეზიდენტის სავარაუდო კანდიდატურას – "ბოლნისის სიონის" საპატიო პრეზიდენტს, პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის ფავორიტს, დეპუტატ დავით კირკიტაძეს.

მერაბ ჟორდანიას დაკავების ფაქტზე კომენტარი საქართველოს პრეზიდენტმაც გააკეთა.

**"მე, როგორც გულშემატკივარს, შეიძლება, მქონდეს ჩემი შეხედულება ფეხბურთის ფედერაციაზე, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეებში სუბიექტური ჩარევა ჩემი საქმე არ არის"**, - განაცხადა პრეზიდენტმა, რომლის თქმითაც, საქართველოში უნდა შეიქმნას ისეთი სისტემა, როცა კანონი ყველას წინაშე თანაბრად და სამართლიანად იქნება გამოყენებული; **"ეს ჩემი მთავარი ამოცანაა"**, - დასძინა პრეზიდენტმა.

# დავა წართმეული საჩუქრისთვის

*შიდა ქართლის ხელისუფლებამ ორიგინალური მეთოდი კიდევ ერთხელ გამოიყენა. შპს "კომერსანტი 95"-ის დირექტორი თემურ ბლუაშვილი დააკავეს და თავისუფლების სანაცვლოდ შპს-ს ქონების - ტანსაცმლის ბაზრობის 88 პროცენტის გადაცემა მოსთხოვეს, დანარჩენი 12 პროცენტის მფლობელი ინკოგნიტოდ რჩება, მისი ვინაობა არ იციან არც რაიონის გამგეობის წარმომადგენლებმა და არც გამგებელმა.*

თეა თედლიაშვილი
გორიდან

გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ბონდო ვათიაშვილმა 6 აპრილს შპს "კომერსანტი 95"-ის ადვოკატის გოგიტა გაბაიძის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა და ძალით "ნაჩუქარი" ბაზრობა გორის რაიონის გამგეობას დაუტოვა საკუთრებაში.

შპს-ს ადვოკატი გორის რაიონული სასამართლოს გადაწყვეტილების გასაჩივრებას თბილისის საოლქო სასამართლოში აპირებს.

შპს-ს მონილეებმა, ბლუაშვილის ციხიდან გამოსვლის შემდეგ, გორის რაიონულ სასამართლოში სარჩელი შეიტანეს და სანოტარო აქტის გაუქმება და უკანონოდ გასხვისებული ქონების დაბრუნება მოითხოვეს. მოსამართლე ქართლოს სულაბერიძემ სარჩელი დააკმაყოფილა და ბაზრობა რეალურ მეპატრონეებს დაუბრუნა. გორის რაიონის გამგეობამ გადაწყვეტილების გასაჩივრების ვადა გაუშვა, მაგრამ გადაწყვეტილება, ახლად აღმოჩენილი გარემოებების საფუძველზე, მაინც გაასაჩივრა.

"თავისუფლების ისტიტუტის" წარმომადგენელი შიდა ქართლში გიორგი გოცირიძე მიიჩნევს, რომ სულაბერიძემ გადაწყვეტილების გამოტანისას კოდექსის გაუქმებული მუხლი გამოიყენა და ეს განგებ გააკეთა, რათა გამგეობისთვის შანსი მიეცა. **"მოსამართლე სულაბერიძემ ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 26 (პრიმ) მუხლით იხელმძღვანელა, ეს მუხლი გადაწყვეტილების მიღებისას გაუქმებული იყო,"** - აცხადებს გორის რაიონის გამგეობის იურისტი რევაზ გოგიაშვილი.

გორის რაიონულ სასამართლოში შესაგებელი სარჩელი შპს "კომერსანტმაც" შეიტანა და კვლავ მოითხოვა სანოტარო აქტის გაუქმება. საქმე წარმოებაში გორის რაიონული სასამართლოს თავმჯდომარემ ბონდო ვათიაშვილმა მიიღო.

შპს-ს მეწილეების ადვოკატი გოგიტა გაბაიძე მიიჩნევს, რომ სანოტარო აქტი კანონდარღვევებითაა შედგენილი. **"სანოტარო აქტის შედგენის თარიღია 13 სექტემბერი, მას საფუძვლად დაედო დამფუძნებელი კრების 4 ოქტომბრის ოქმი, რომელზეც ხელს მხოლოდ დირექტორი თემურ ბლუაშვილი და კრების მდივანი ნუგზარ საური აწერენ. შეცდომებია დაშვებული აქტის შედგენისას პირადობის დამადასტურებელი მოწმობის ნომრების ჩაწერაში, რომელიც უხეშად არის ჩასწორებული და არსად არის მითითებული, რომ ეს მექანიკური შეცდომაა. თანაც ხელშეკრულებას ხელს აწერს გორის რაიონის გამგებლის მაშინდელი მოადგილე ნუკრი პაპუნაშვილი (ახლა ის გამგებელია), რომელსაც არ ჰქონდა მინდობილობა,"**-ამბობს ადვოკატი გაბაიძე. **"ვერ ვიგებთ, ვინ ფლობს ქონების 12 პროცენტს, ამის შესახებ არაფერია ნათქვამი სანოტარო აქტში. არც ის არის მინიშნებული, ბაზრობის რომელი ნაწილია მიკუთვნებული 12 პროცენტს და, საერთოდ, უძრავი ქონება გაზომილია პროცენტებში, ჩვეულებრივად ასეთ ქონებას კვადრატულ მეტრებში ზომავენ,"**- ასეთი განცხადება გააკეთა გაბაიძემ სასამართლო პროცესზე.

შპს "კომერსანტი 95"-ის მეწილეები პოზიციების დათმობას არ აპირებენ.

# გატაცებული კი არა, დამალულია

გორის ტურბაზიდან გუშინწინ გატაცებული იაშა მაისურაძის ადგილსამყოფელი კვლავაც უცნობია. თუმცა, წინასწარი ვერსია მისი გატაცების შესახებ შეიცვალა.

როგორც ცნობილია, იაშა მაისურაძე ტურბაზაში მცხოვრებ ილია საძაგლიშვილთან ერთად ტურბაზისვე ტერიტორიიდან 5 აპრილს, შებინდებისას შეიარაღებულმა პირებმა გაიტაცეს; თუმცა, ტურბაზიდან რამდენიმე კილომეტრში გამტაცებლებმა საძაგლიშვილი ავტომანქანიდან გადმოაგდეს, მაისურაძე კი გაურკვეველი მიმართულებით წაიყვანეს.

გატაცების მიზეზებზე ვერაფერს ამბობენ მაისურაძის ოჯახის წევრები და მეზობლები. ვერსიებზე არ საუბრობდა არც პოლიცია, თუმცა კი, გატაცების ფაქტი გუშინწინვე დაადასტურა გორის პოლიციის სამმართველოს უფროსმა დავით დათაშვილმა.

გუშინ კი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ გაავრცელა ოფიციალური განცხადება, რომლის მიხედვითაც, ინფორმაცია, რომ ცხინვალიდან დევნილი იაშა მაისურაძე გატაცებულია, სინამდვილეს არ შეეფერება. განცხადების მიხედვით, მაისურაძე საკუთარ მევალეებს ემალება და მისი გატაცება გათამაშებული იყო.

შინაგან საქმეთა სამინისტროში მიიჩნევენ, რომ მაისურაძის ოჯახის წევრები და თვითმხილველები სამართალდამცავებს ჩვენებებს სწორედ ამიტომ არ აძლევენ.

მოკლედ

## ფინეთში დაკავებული და გათავისუფლებული ქართველი ქალების საკითხს კიდევ ერთხელ განიხილავენ

საქართველოს სახალხო დამცველი სოზარ სუბარი კოპენჰაგენში იმყოფებოდა დანიის ომბუდსმენის ინსტიტუტის დაარსების 50 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. კონფერენციას ევროპის ქვეყნების ომბუდსმენები ესწრებოდნენ.

კონფერენციაზე განსახილველ თემათა შორის ორი საკითხი დომინირებდა; პირველი - როგორი დამოკიდებულება უნდა იყოს მძიმე დანაშაულისთვის მსჯავრდებულ პატიმრებთან და მეორე - პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლება.

სახალხო დამცველის აპარატის ცნობით, საქართველოს კანონმდებლობა სათანადოდ ვერ არეგულირებს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობას და სახალხო დამცველი თავისი შემდგომი საქმიანობის პრიორიტეტად სწორედ ამ საკითხს განიხილავს.

კოპენჰაგენში სოზარ სუბარი ფინეთის საპარლამენტო ომბუდსმენს რიიტა-ლეენა პაუნიოსაც შეხვდა და ფინეთის საზღვარზე ცოტა ხნის წინათ დაკავებულ ქართველ ქალბატონებზე ესაუბრა. პაუნიომ აღნიშნა, რომ მისმა აპარატმა აღრიცხვაზე აიყვანა ქვეყანაში შესვლის შეფერხების თაობაზე სასამართლოში შეტანილი სარჩელი და მას პირადად აქვს მუდმივი კავშირი ადვოკატთან (ფინეთის მხრიდან). თუ ქართული მხარე მიიჩნევს, რომ ფინეთის ოფიციალური პირების დამოკიდებულება კანონიერების ფარგლებს სცილდება, ან არ არის ადეკვატური, ფინეთის საპარლამენტო ომბუდსმენი მზად არის, მიიღოს შესაბამისი სარჩელი. თავის მხრივ, საქართველოს მთავრობის ვიცე-პრემიერი, იუსტიციის მინისტრი კონსტანტინე კემულარია, რომელიც ბრიუსელში ევროპის იუსტიციის მინისტრების 26-ე კონფერენციაზე იმყოფება, დღეს ფინეთის შს მინისტრთან შეხვედრასა და ფინეთის საზღვარზე საქართველოს მოქალაქეების დაკავების საკითხის გარკვევას აპირებს.

**"ფინეთის ოფიციალური სტრუქტურებიდან ჩემთვის ცნობილი გახდა, რომ საქართველოს მოქალაქეთა მხრიდან რაიმე კრიმინალის ჩადენისა და საზღვრის უკანონოდ გადაკვეთის ფაქტები არ დაფიქსირებულა. ჩემი შეხვედრა ფინეთის შს მინისტრთან მიზნად ისახავს ამ ინციდენტის დეტალების დაზუსტებას. იმედი მაქვს, შს მინისტრისგან სათანადო განმარტებებს მივიღებ"**, - აღნიშნა კონსტანტინე კემულარიამ ჟურნალისტებთან საუბრისას.

როგორც ცნობილია, საქართველოს 48 მოქალაქე, რომელთაც ტურისტული ვიზები ჰქონდათ, რუსეთ-ფინეთის საზღვარზე 19 მარტს დააკავეს. მესაზღვრეებმა დოკუმენტაციის შემოწმების შემდეგ მათი დეპორტაციის გადაწყვეტილება მიიღეს. "უკვე გარკვეულია, რომ საქართველოს მოქალაქეებს არ დაურღვევიათ არც საქართველოს და არც ფინეთის კანონმდებლობა", - განაცხადა იუსტიციის მინისტრმა.

*24 საათი*

## კონფლიქტის ზონაში სიტუაცია შეფასდა როგორც მშვიდი

გუშინ ჭუბურხინჯში მორიგი ოთხმხრივი შეხვედრა გაიმართა. მხარეებმა გასული კვირის განმავლობაში კონფლიქტის ზონაში არსებულ კრიმინოგენული ვითარება განიხილეს. გარდა ამისა, აფხაზურმა მხარემ კვლავ დააყენა მდინარე ენგურის გასწვრივ განლაგებული სწრაფი რეაგირების ქართული ბატალიონის ზუგდიდის რაიონის სიღრმეში დახევის მოთხოვნას.

აფხაზური მხარის პრეტენზიები, ძირითადად, ბატალიონის შეიარაღებას უკავშირდება. გალის რაიონის აფხაზური ადმინისტრაციის ხელმძღვანელი ვალერი ლომია აცხადებს, რომ შეიარაღებიდან გამომდინარე (ყუმბარმტყორცნები. ე.წ. მუხები და სხვა ცეცხლსასროლი იარაღი), ეს არ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული ბატალიონი და ის შეიძლება სამხედრო შენაერთად ჩაითვალოს.

მიუხედავად იმისა, რომ შინაგან საქმეთა მინისტრის ვანო მერაბიშვილის განკარგულებით და უშუალო მითითებით, ბატალიონი ძველ პოზიციებზე უნდა დარჩენილიყო, შეხვედრაზე მცირე კომპრომისი მაინც დაიშვა და გადაწყდა, რომ ეს ბატალიონი სოფლის სიღრმეში, დაახლოებით, 100 მეტრით გადაიწევს...

თავის მხრივ, ქართულმა მხარემ კვლავ დააყენა 22 მარტს განმუხურში მომხდარი ინციდენტის გამოძიების დაჩქარების აუცილებლობის საკითხი. როგორც ქართული სამშვიდობო ძალების სარდალი ვალერი ჯაფარიძე აცხადებს, ქართულ მხარეს მკაცრი პოზიცია აქვს და კატეგორიულად მოითხოვს დამნაშავეების სასწრაფოდ გამოვლენასა და დასჯას.

როგორც ცნობილია, 22 მარტს ზუგდიდის რაიონის სოფელ განმუხურში, რომელიც გალის რაიონს ესაზღვრება, რუსეთის სამშვიდობო ძალების კუთვნილმა ჯავშანტექნიკამ თვითნებურად დაიწყო გადაადგილება. დაახლოებით, 7-8 ერთეული ჯავშანტრანსპორტიორი განმუხურის ტერიტორიაზე დიდი სიჩქარით მოძრაობდა. რუსი სამშვიდობოების სარდლობამ ეს "გეგმიურ წვრთნებს" დაუკავშირა. განმუხურში ქართული პოლიციის დამატებითი ძალები გადაისროლეს. პრეზიდენტის რწმუნებულთან გიგი უგულავასთან შეხვედრის შემდეგ რუს ცისფერჩაფხუტიანთა სარდლობამ განმუხურიდან ტექნიკის გაყვანის ბრძანება გასცა.

დაბოლოს, ჭუბურხინჯის ტრადიციულ შეხვედრაზე ქართულმა მხარემ ჟურნალისტის, უკრაინის მოქალაქის ალექსანდრე სივოვის ცემის ფაქტის სასწრაფო გამოძიება მოითხოვა. ვალერი ჯაფარიძის განცხადებით, სივოვი 5 აპრილს სოფელ ჭუბურხინჯთან, ეგრეთ წოდებულ აფხაზურ საბაჟოზე სცემეს და პერსონალური კომპიუტერი წაართვეს. იგი აფხაზეთის, შემდეგ კი რუსეთის გავლით უკრაინაში წასვლას აპირებდა, თუმცა საბაჟოზე ამის უფლება არ მისცეს. აღსანიშნავია, რომ სივოვს საერთაშორისო დამოუკიდებელი ჟურნალისტის სტატუსი აქვს და ნებისმიერი ქვეყნის ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილება შეუძლია.

მიუხედავად ზემოთ ჩამოთვლილი პრობლემატური საკითხებისა, შეხვედრაზე ქართულ-აფხაზური კონფლიქტის ზონაში ბოლო ერთ კვირაში არსებული ვითარება შეფასდა როგორც მშვიდი.

*ინტერ-პრესისა და მედია-ნიუსის მიხედვით*

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
GEORGIAN SOCIAL INVESTMENT FUND
GSIF

## განცხადება ტენდერის შესახებ

საქართველოს მთავრობამ საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდის პროექტისათვის (სსიფ) განვითარების საერთაშორისო ასოციაციისაგან (გსა) მიიღო კრედიტი და აპირებს დააფინანსოს კრედიტის ნაწილით **მარნეულის რაიონის წერაქვის საკრებულო სოფ. სიონის წყალსადენის** რემონტი.

საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდმა გააფორმა ჩარჩო ხელშეკრულება **მარნეულის რაიონის წერაქვის საკრებულოს სოფ. სიონის** განვითარების სათემო კავშირთან **"სიონი-2005"**, რომელიც შემდგომში იმოქმედებს როგორც დამქირავებელი. აქედან გამომდინარე, სათემო კავშირი **"სიონი-2005"** იწვევს საქართველოში რეგისტრირებულ დაინტერესებულ კერძო სამშენებლო ორგანიზაციებს კონკურსში მონაწილეობის მისაღებად.

საკონკურსო დოკუმენტაცია შეგიძლიათ მიიღოთ შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მარნეულის რაიონი, სოფ. წერაქვის საკრებულო სოფ. სიონის საშ. სკოლის შენობაში.

საკონტაქტო პირი **ავთანდილ ცხადიაშვილი**, სათემო კავშირი **"სიონი-2005"**-ს თავმჯდომარე

**2005 წლის 8 აპრილიდან 10-დან 18 საათამდე** (შაბათ-კვირის გარდა). საკონკურსო დოკუმენტების ღირებულება შეადგენს 20 (ოცი) ლარს.

საკონკურსო წინადადებაში წარმოდგენილი ფასები ძალაშია კონკურსის გახსნიდან 60 დღის განმავლობაში და მას თან უნდა ახლდეს სატენდერო პაკეტში მითითებული ფორმით 1200 ლარის ოდენობის საკონკურსო გარანტია. საკონკურსო წინადადება, რომელსაც არ ახლავს საკონკურსო გარანტია, არ განიხილება.

დაინტერესებულ კონკურსანტებს ამავე მისამართზე შეუძლიათ მიიღონ კონკურსთან დაკავშირებული დამატებითი ინფორმაცია.

წინადადება წარმოდგენილი უნდა იყოს შემდეგ მისამართზე:

საქართველო, მარნეულის რაიონი, სოფ. წერაქვის საკრებულო სოფ. სიონის საშ. სკოლის შენობაში,

საკონტაქტო პირი **ავთანდილ ცხადიაშვილი**, სათემო კავშირი **"სიონი-2005"**-ს თავმჯდომარე

2005 წლის 10 მაისის 13 საათამდე.

საკონკურსო წინადადებები გაიხსნება იმავე მისამართზე, იმავე დღეს **13:00** საათზე დაინტერესებული პირების თანდასწრებით.

დაგვიანებული საკონკურსო წინადადებები არ მიიღება და კონკურსში მონაწილეებს დაუბრუნდებათ გაუხსნელი პაკეტი.

აღნიშნულ პროცედურებთან დაკავშირებული პრეტენზიების შემთხვევაში კონკურსანტს შეუძლია მიმართოს სსიფ-ის ადმინისტრაციას შემდეგ მისამართზე:

**საქართველოს სოციალური ინვესტიციების ფონდი
ჭავჭავაძის 39ა, თბილისი, საქართველო
ტელ: (995 32) 25 04 42, 25 04 43, 23 07 79
ფაქსი: (995 32) 23 01 03**

უცხოეთი

# ყველა გზა რომში მიდის

პირველი გვერდიდან

უფლება ვატიკანის დაცვის სამსახურის გარდა არავის აქვს, მათ შორის იტალიის პოლიციასაც. სწორედ ამიტომ, ამოცანა კიდევ უფრო გაურთულდა საიდუმლო სამსახურებს, რომელთაც სახელმწიფოთა მეთაურებისა და ხელისუფლებების სხვა წარმომადგენელთა დაცვა ევალებოდათ. მათ, ფაქტობრივად, "შიშველი ხელებით" მოუწიათ მოვალეობის შესრულება. გამონაკლისი ამ წესიდან მხოლოდ აშშ-ს დელეგაციისთვის დაიშვა. 6 აპრილს ვატიკანში აშშ-ს ხუთკაციანი დელეგაციის, ამჟამინდელი პრეზიდენტის ჯორჯ ბუშის, მისი მეუღლის ლორა ბუშის, ყოფილი პრეზიდენტების - უფროსი ჯორჯ ბუშისა და ბილ კლინტონის, ასევე ამჟამინდელი სახელმწიფო მდივნის კონდოლიზა რაისის შემადგენლობით ჩასვლის შემდეგ, რომის თავზე საჰაერო სივრცეც დაიკეტა. ვატიკანში იმყოფებიან სხვა ქვეყნების ოფიციალური წარმომადგენლებიც, როგორც საერო, ასევე სასულიერო წრეებიდან. ვატიკანში იმყოფებიან საფრანგეთის პრეზიდენტი ჟაკ შირაკი, გერმანიის კანცლერი გერჰარდ შროდერი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი ტონი ბლერი, გაერო-ს გენერალური მდივანი კოფი ანანი და ისრაელის პრეზიდენტი მოშე კაცავი.

დღეს, პაპის დაკრძალვაზე მყოფი ადამიანების რიცხვი მიმდინარე წლის იანვარში მექაში ტრადიციული ჰაჯის შესასრულებლად ჩასულ პილიგრიმთა რაოდენობას, სავარაუდოდ, გადააჭარბებს. როგორც ცნობილია, წელს მუსლიმთა წმინდა ადგილი 2.56 მილიონზე მეტმა მორწმუნემ მოილოცა. ალბათ, სარეკორდო მაჩვენებლად დარჩება 2001 წლის იანვარში ინდოეთის ქალაქ ალაჰაბადში ხუთკვირიან რელიგიურ დღესასწაულზე ჩასულ მლოცველთა ოდენობა, რომელმაც 20 მილიონი კაცი შეადგინა.

იოანე პავლე მეორის ანდერძის შინაარსი, რომელიც კარდინალთა კონგრეგაციის სხდომაზე 5 აპრილს წაიკითხეს, საზოგადოებისათვის 7 აპრილს გახდა ცნობილი. მისი წერა პაპმა მშობლიურ ენაზე 1979 წელს დაიწყო. ანდერძში აღნიშნულია, რომ პაპი 2000 წელს, სამწყსოს ახალ ათასწლეულში შეყვანის შემდეგ გადადგომას აპირებდა. გარდა ამისა, 1982 წელს იოანე პავლე მეორე მიიჩნევდა, რომ იგი უნდა დაკრძალულიყო სამშობლოში, პოლონეთში, თუმცა მოგვიანებით, 1985 წელს მან შესწორება შეიტანა ტექსტში და ამ საკითხის გადაწყვეტა კარდინალთა კოლეგიას მიანდო.

საინტერესოა ერთი დეტალიც, კერძოდ, ვატიკანის სფოუქსმენის ხოაკინ ნავარრო-ვალსის განცხადებით, იოანე პავლე მეორისთვის ბალზამირება არ გაუკეთებიათ, არამედ მხოლოდ "მოამზადეს", ხოლო ის, თუ რა იგულისხმება "მომზადებაში", მას არ დაუკონკრეტებია. იოანე პავლე მეორეს თან ჩაატანენ პატარა ტომსიკას, რომელშიც მოთავსებული იქნება მედლები და გრაგნილი პაპის ცხოვრების მოკლე აღწერილობით. ნავარო-ვალსის თქმით, იოანე პავლე მეორეს საკუთარი სურვილისამებრ წმინდა პეტრეს ტაძრის ქვეშ განთავსებულ ვატიკანის აკლდამაში, სადაც 264 პაპიდან 70-ზე მეტი განისვენებს, იოანე XXIII-ის ყოფილ სამარხში დაკრძალავენ (იოანე XXIII-ის სხეული სიქსტის კაპელაშია გადასვენებული მისი წმინდანად შერაცხვის პროცესის გამო). შესაძლოა, პაპი იოანე პავლე მეორეც, როგორც კარდინალმა ფრენსის ჯორდანმა აღნიშნა, წმინდანად იქნეს შერაცხული.

18 აპრილს გაიმართება კონკლავი, რომელმაც რომის ახალი პაპი უნდა აირჩიოს. ეს გადაწყვეტილება კარდინალთა კონგრეგაციამ 5 აპრილს გამართულ სხდომაზე მიიღო. სავარაუდოდ, 18 აპრილისთვის დანიშნული კონკლავი წინა, 1978 წლის კონკლავზე დიდხანს არ გაგრძელდება. თუ ეს მოსაზრება გამართლდა, ახალი პონტიფიკოსის ვინაობა უკვე 22 აპრილს გახდება ცნობილი.

ახალი პაპის ვინაობის შესახებ ძველისგან ოდნავ განსხვავებული მეთოდით ამცნობენ სამყაროს. ადრე თუ ახალი პაპის არჩევის შესახებ კვამლით ამცნობდნენ მსოფლიოს, ახლა მას ზარებიც დაემატა. ძველ ჩვეულებას ხშირად შეცდომაში შეჰყავდა ხალხი, რადგან ჰაერში გაშვებული თეთრი კვამლი (თანხმობის ნიშანი) ძნელი გასარჩევი იყო რუხისგან (უარყოფა).

დღეს კი, ყველა გზა მართლაც რომში მიდის.

სამგლოვიარო განცხადება

**სამოქალაქო საბჭო ძირითად უფლებათა და თავისუფლებათა დაცვისათვის იზიარებს რომის კათოლიკური ეკლესიის მწუხარებას მისი უწმინდესობის რომის პაპ იოანე პავლე II-ის გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს წმინდა საყდრის დესპანს საქართველოში, მის მაღალყოვლადუსამღვდელოესობას არქიეპისკოპოსსა კლაუდიო გუჯეროტის, საქართველოს, სომხეთისა და აზერბაიჯანის კათოლიკეთა აბსოლუტურ ადმინისტრატორს მის ყოვლადუსამღვდელოესობას ეპისკოპოსს ჯუზეპე პაზოტოს, ჩვენი ქვეყნის მიწა-წყალზე მცხოვრებ ყველა კათოლიკეს.**

**ჩვენ გვჯერა, რომ მისი უწმინდესობა იოანე პავლე II სამუდამოდ დაიმკვიდრებს ადგილს კაცობრიობის ისტორიაში, როგორც მშვიდობის, სამართლიანობის, ადამიანის უფლებების დაცვის, რწმენისა და აღმსარებლობის, პიროვნების თავისუფლების,ღირსებისა და ლიბერალურ-დემოკრატიული ღირებულებების დამცველი, სოლიდარობის, კულტურათა და რელიგიათა დიალოგის ერთ-ერთი მთავარი ინიციატორი.**

**სამოქალაქო საბჭოს წევრები: გიორგი ხუციშვილი, გია ნოდია, გიგი წერეთელი, გიგი თევზაძე, პეტრე მამრაძე, ნაირა გელაშვილი, მზექალა შანიძე, მიხეილ ქვლივიძე, ზურაბ კიკნაძე, დავით დარჩიაშვილი, სოზარ სუბარი, გიგი უგულავა, გიორგი გოგიბერიძე, მერაბ ბასილაია, დავით ყიფიანი, ლელა ქართველიშვილი, გიორგი ნიჟარაძე, ნოდარ ლადარია, ნინო ციხისთავი, ირინა სულხანიშვილი, ლევან აბაშიძე, ემილ ადელხანოვი, თამარ შამილი, ბექა მინდიაშვილი, ავთანდილ ჯოხაძე, თამარ ქალდანი, რუსუდან მშვიდობაძე, ნუგზარ პაპუაშვილი, პაატა ზაქარეიშვილი, მერაბ ღლონიძე, მანანა ჯავახიშვილი, მანანა ქუთათელაძე, ეპისკოპოსი მალხაზ სონღულაშვილი, მამა ზაზა თევზაძე, მამა ბასილ კობახიძე, ხუცესი ზაალ ტყეშელაშვილი.**

**რუსეთი.** გუშინ ნავთობით მდიდარი ბაშკირეთის რესპუბლიკიდან რეგიონის მმართველის გადადგომის მოთხოვნით ოპოზიცია დედაქალაქისკენ დაიძრა.

მოსკოვში ლუბიანკის მოედანზე ბაშკირეთის ოპოზიციამ მიტინგი გამართა. "ბაშკირეთი – პოლიტიკური გულაგი" - ასეთი წარწერებით იყო სავსე მოსკოვის ერთ-ერთი ცენტრალური მოედანი. როგორც რადიო "თავისუფლება" იტყობინება, 200 ადამიანზე მეტი უფიდან სპეციალური ავიარეისით ჩამოვიდა. პატიმართა ზოლიან ტანისამოსში გამოწყობილი მომიტინგეები გუშინდელი აქციით ცენტრალური ხელისუფლების ყურადღების მიქცევას ცდილობდნენ. ოპოზიციის თქმით, ისინი ხელმოწერების შეგროვებას რეგიონული ხელისუფლების გადადგომის მოთხოვნით, მთელი ბაშკირეთის ტერიტორიაზე განაგრძობენ, ხოლო, თუ 1 მაისამდე მურთაზ რახიმოვი (იგი უკვე 15 წელია ბაშკირეთის სათავეშია) თანამდებობას არ დატოვებს, დაიწყება უვადო საპროტესტო აქციები. **24 საათი**

■ ■ ■

**რუსეთი.** თუ მოსკოვის თავზე ტერორისტების მეირ გატაცებული სამგზავრო თვითმფრინავი გამოჩნდება - მას გაანადგურებენ. ამის შესახებ რუსეთის სპეცდანიშნულების ჯარების სარდალმა გენერალ-პოლკოვნიკმა იური სოლოვიოვმა გუშინ მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, შესაცვლელია "სახელმწიფო საზღვრის" კანონის ის მუხლი, რომელიც სპეცდანიშნულების ჯარებს მოსკოვის თავზე მხოლოდ საბრძოლო ან უპილოტო თვითმფრინავების ან იმ თვითმფრინავების ჩამოგდების უფლებას ანიჭებს, რომლის ბორტზე მხოლოდ ტერორისტები იმყოფებიან. სოლოვიოვის თქმით, თუ ტერორისტების მიერ გატაცებულ სამგზავრო თვითმფრინავს არ ჩამოაგდებს, მას ამისთვის დააპატიმრებენ. თუმცა, ხელბორკილებს იმ შემთხვევაშიც დაადებენ, თუკი ის ამ თვითმფრინავს ჩამოაგდებს. "ჩვენ სიტუაციის მძევლები გავხდით", - აღნიშნა მან. მიუხედავად ამისა, სოლოვიოვს უკვე გადაწყვეტილი აქვს, როგორ უნდა იმოქმედოს მსგავს შემთხვევაში. "არ დავუშვებ, რომ მოსკოვს რაღაც დაეცეს. მე ჩამოვყალიბდი, როგორც ვიმოქმედებ. საბოლოო გადაწყვეტილებას კი მთავარსარდალი ან ქვეყნის თავდაცვის მინისტრი მიიღებენ," - განაცხადა გენერალმა. როგორც რადიოსადგური "ეხო მოსკვი" იუწყება, რუსმა სამხედროებმა ტერორისტების მიერ გატაცებული თვითმფრინავების ჩამოგდების უფლება შეიძლება მალე მიიღონ. ამ მიმართულებით უკვე მიმდინარეობს სერიოზული მუშაობა, რომელშიც ჩართული არიან როგორც თავდაცვის უწყების წარმომადგენლები, ისე კანონმდებლები. **ინტერ-პრესი**

■ ■ ■

**იტალია.** 6 აპრილს იტალიის სენატმა ევროკავშირის კონსტიტუციის რატიფიცირება მოახდინა. გაერთიანების ძირითად კანონს 217 მომხრე ჰყავდა, ხოლო მის წინააღმდეგ მხოლოდ 16-მა მისცა ხმა. ამგვარად, იტალია ევროკაშირის მეხუთე ქვეყანა გახდა, რომელმაც 2004 წლის 29 ოქტომბერს ხელმოწერილი კონსტიტუციის რატიფიცირება მოახდინა. ჯერჯერობით კონსტიტუციის რატიფიკაციის ბედი, რეფერენდუმის საშუალებით, მხოლოდ ესპანეთში გადაწყვიტეს. ლიტვამ, უნგრეთმა და სლოვენიამ პირდაპირ საკანონმდებლო ორგანოში გაატარა ეს პროცედურა. სავარაუდოდ, ყველაზე დიდი წინააღმდეგობა კონსტიტუციის დამტკიცებასთან დაკავშირებით 29 მაისს დანიშნულ რეფერენდუმს საფრანგეთში შეხვდება. მით უმეტეს, რომ 12 მაისს კონსტიტუციას გერმანიის ბუნდესტაგში უნდა ეყაროს კენჭი. ასე რომ, გერმანიის მიერ მიღებული გადაწყვეტილება სერიოზულ გავლენას იქონიებს ფრანგ ამომრჩეველზე. შეგახსენებთ, კონსტიტუციის რატიფიცირებას ყველა წევრი-ქვეყნის მიერ ორი წელი დასჭირდება. **24 საათი**

■ ■ ■

**ერაყი.** ერაყს ახალი პრემიერ-მინისტრი ჰყავს. საპრეზიდენტო საბჭომ, რომლის შემადგენლობაში ახალი პრეზიდენტი და მისი ორი მოადგილე შევიდნენ, ერაყის მთავრობის მეთაურის პოსტზე გუშინ ყოფილი ვიცე-პრეზიდენტი, შიიტი იბრაჰიმ ჯაფარი აირჩია. მანამდე, ბაღდადში ერაყის პრეზიდენტის, ქურთთა ლიდერის ჯალალ თალაბანის ინაუგურაციის ცერემონია გაიმართა. მასთან ერთად ფიცი დადო ორმა ვიცე-პრეზიდენტმა - შიიტმა ადელ აბდულ მაჰდიმ და სუნიტმა გაზი ალ-იავარმა. ჯაფარის განცხადებით, ახალი მთავრობა ერთ-ორ კვირაში ჩამოყალიბდება. როგორც ერაყის ოფიციალური წყაროები იტყობინებიან, ქვეყნის მოქმედმა პრემიერ-მინისტრმა აიად ალავიმ უფლებამოსილება შიიტ ლიდერს უკვე გადაულოცა. მას შემდეგ, რაც ერაყის პარლამენტი მინისტრთა კაბინეტს დაამტკიცებს, დეპუტატები ერაყის ახალი კონსტიტუციის მომზადებას შეუდგებიან. ძირითადი კანონის საფუძველზე ქვეყანაში კვლავ არჩევნები გაიმართება, რის შემდეგაც იქ მუდმივი სახელმწიფო ინსტიტუტები შეიქმნება. **24 საათი**

გაზაფხული, მთავრობა და თევზი



B2

ამარკორდი - კომფორტი და ხელოვნება



B3

გარდაიცვალა გივი ნოდია



B4

იუბილე

# სრულყოფილი კაპიტანი

პირველი გვერდიდან

*"თბილისელებს, რომლებმაც მაშინ "ლივერპული" დაამარცხეს, ჰყავთ ისეთი უმაღლესი კლასის ფეხბურთელი, როგორიც ალექსანდრე ჩივაძეა. იგი ბურთს ისე ფლობს და ათამაშებს, როგორც ბეკენბაუერის კლასს შეეფერება".*
*"დეილი მეილი"*

1973 წელს თბილისის "დინამოს" დუბლებში მიიღეს ვოვა ელოშვილის აღზრდილი, 18 წლის საშა ჩივაძე. მომდევნო წელს მოსკოვის "სპარტაკთან" გასვლაზე პირველად ითამაშა ძირითად შემადგენლობაში და მაშინვე მიიქცია გულშემატკივართა და სპეციალისტთა ყურადღება. გივი ჩოხელი მთავარი მწვრთნელის პოსტზე ჯერ მიხეილ იაკუშინმა შეცვალა, მერე - ნოდარ ახალკაცმა და საშა ჩივაძეც 1976 წლის სეზონიდან ძირითად შემადგენლობას გაუშინაურდა, ჯერ ნახევარდაცვაში და შემდეგ უკვე ცენტრალურ მცველად. თბილისის "დინამომ" ყველა დროის საუკეთესო №3 იპოვა...

*"ბევრი ძლიერი ფეხბურთელი მინახავს, რომლებიც ვერ დაიკვეხნიან თამაშის სილამაზით. ვფიქრობ, ეს ერთგვარი ნაკლია ფეხბურთელისა. ალექსანდრე ჩივაძე ამ მხრივაც გამოირჩევა. მისი თამაშის მანერა არისტოკრატიულია. დახვეწილი პლასტიკა და მოძრაობის სილაღე - აი, რა ახასიათებს ამ ძლიერ ფეხბურთელს".*
*გურამ ფანჯიკიძე*

ქართული ფეხბურთის პატრიარქი ანდრო ჟორდანია თავის წიგნში "ფიქრები ქართულ ფეხბურთზე" სამართლიანად წერდა: "წარსულის მოგონება ხვალინდელი დღის დასანახავადაა საჭირო. უნდა შეგეძლოს გაიხედო ხვალის მიღმა, ამისთვის კი საჭიროა, წარსული გახსოვდეს". ისევ ახალი თაობის გასაგონად მინდა მოვიყვანო მაგალითები. დინამოელთა და საბჭოთა ნაკრების კაპიტანს იმ დროს ყველაზე ხშირად ბუნდესნაკრების კაპიტანს ფრანც ბეკენბაუერს და არგენტინის ნაკრების კაპიტანს დანიელ პასარელას ადარებდნენ. გარდა ზემოხსენებული ორი დიდი ფეხბურთელისა, საშას თამაშის მანერით და კლასით ასევე მის თანამედროვეს, "იუვენტუსისა" და იტალიის ნაკრების ლეგენდარულ ლიბეროს, კიდევ ერთ მსოფლიო ჩემპიონს გაეტანო შირეას შევადარებდი. ინგლისელები კი საშას თამაშს თავიანთი ჯილა ჩემპიონისა და კაპიტნის - ბობი მურის სტილს ამსგავსებდნენ. დააკვირდი, მკითხველო: ოთხივე დიდი ფეხბურთელი, ვისაც საშა ჩივაძეს ადარებდნენ, მსოფლიო ჩემპიონების ლეგენდარული გუნდების დიდი კაპიტნები არიან! დღევანდელი მოთამაშეებიდან საშასთან ყველაზე ახლოს, ალბათ პაოლო მალდინია. თამაშის კლასს ვგულისხმობ, თორემ ახლა ვინღა თამაშობს ლიბეროთი, ფეხბურთი ძალიან შეიცვალა. მალდინისთან მსგავსება ისეთ კომპონენტებშია, როგორიცაა თამაშის წაკითხვა, ორთაბრძოლაში შესვლის მომენტის უტყუარი ალღო, პოზიციის უშეცდომო შერჩევა, ბურთზე დასწრება, დახვეწილი პლასტიკა და მოძრაობის სილაღე, პირველი პასი და ბურთის ამოტანა, შეტევაში არაფორმალურად და უაღრესად სარგებლიანად ჩართვა და საჭირო დროს კარის შედეგიანად შეტევაც.



*"კონსტანტინე ბესკოვმა სამართლიანად თქვა ჩივაძეზე - არგენტინელთა ნაკრების კაპიტანს დანიელ პასარელას არაფრით ჩამოუვარდებაო. მე პირადად საშა ჩივაძეზე უკეთეს მცველს ამჟამად არ ვიცნობ".*
*დათო ყიფიანი*

იმდროინდელ ფეხბურთშიც იყვნენ უკადრებლის მკადრებელი კადრები: ჯენტილე, ანხელი, გოიკოეჩეა და მათი რუსი "კოლეგები", ცნობილი "სეკაჩები": ნოვიკოვი, ნიკულინი, ბუბნოვი და მისთანანი. მთლად დღევანდელებივით ვერ ხმარობდნენ სანოკაუტედ იდაყვებს, მაგრამ ძვლებისმკვნეტელები ნამდვილად იყვნენ. საშა ჩივაძეს თავისი კარიერის მანძილზე მსგავსი რამ არასოდეს უკადრებია, იგი პატივს სცემდა მეტოქეს, საკუთარ თავს და ზოგადად ფეხბურთს.

*"მადრიდის "რეალის" დიდმა იუგოსლაველმა მწვრთნელმა მილიან მილიანიჩმა მითხრა: შესაძლებელია გყავდეს ორი ისეთი ფეხბურთელი, რომლებიც იმდენს გააკეთებენ, რამდენსაც მხოლოდ 4-5 ფეხბურთელი შეძლებს. "ეპტონ პარკში" ყიფიანი და ჩივაძე თითქოს ამ გზას დაადგნენ. ისინი ახორციელებდნენ განსაცვიფრებელ კომბინაციებს, რამაც "ვესტ ჰემი" თამაშის კალაპოტიდან ამოაგდო. კონტინენტზე ბევრი კარგი გუნდი მინახავს, მაგრამ ისინი თბილისელებს ვერ სჯობნიან. მათ აქვთ ყველაფერი, რაც აღგაფრთოვანებთ".*
*რონ გრინვუდი - ინგლისის ნაკრების ყოფილი მწვრთნელი - "დეილი ტელეგრაფი"*

1980 წელს ალექსანდრე ჩივაძე საბჭოთა კავშირში სეზონის საუკეთესო ფეხბურთელად აღიარეს და იმავე წელს ნაკრების კაპიტანი გახდა. რამდენი თავით მაღლა უნდა მდგარიყო რუსებზე, რომ იმ დროს კაპიტნად ქართველი აერჩიათ... "დინამო" კი უკვე ევროპულ სარბიელზე ბრწყინავდა, მაშინდელი "დინამოს" მეტოქეები იყვნენ არა "ბატე" და "ვლაჟნია", არამედ "ინტერი" და "ბავარია", "რეალი" და "ლივერპული"...

*"ლივერპული" ცდილობდა მისთვის დამახასიათებელი სტილით ეთამაშა, მაგრამ იგი გაანადგურეს ფეხბურთელებმა, რომლებიც დიდებულად ფლობენ თამაშის ხელოვნებას... ეჭვი არ არის, "დინამო" ახლა "ლივერპულზე" მაღლა დგას..."*
*"გარდიანი"*

*"ასეთი ანთებული, ასეთი ჩინებული და უაღრესად დახვეწილი ტექნიკის მქონე გუნდი არ მინახავს".*
*ბ. სმიტი - "ლივერპულის" პრეზიდენტი*

"ლივერპულში" ჩივაძის მიერ გატანილი გოლის წყალობით ახლა მდევრის როლში ინგლისის ჩემპიონია... და აი, მატჩის დამთავრებამდე ათი წუთით ადრე ყველაფერი გაირკვა: საჯარიმოში შეჭრილი გუცაევი წააქციეს და ჩივაძემ მესამედ აიძულა კლემენსი მეკარისთვის ერთობ უსიამოვნო პროცედურა შეესრულებინა - 3:0! დამსახურებული და სასახელო გამარჯვება! კიდევ კარგა ხანს იდგება ფეხზე 90 ათასი კაცი, კიდევ კარგა ხანს იგუგუნებს ტრიბუნები და იმ წუთებში, ვინ იცის, რამდენს გაახსენდება ნანა მჭედლიძის ფილმის "პირველი მერცხლის" ბოლო კადრები: ტალახში ამოგანგლული თერთმეტი გამწარებული ვაჟკაცი, კაცური ცრემლით და სულისშემძვრელი სიმღერით მიაცილებს გამარჯვებულ ბრიტანელთა გემს, ქედმაღლურად რომ მიგელავს შავი ზღვის ტალღებზე..." ("ლელო").

დღეს კი რა, დღეს კი იგივე მხოლოდ ტალახია, ჩვენებურების მომგები ოსმალოთა და ბერძენი პოპანდოპულოს ნაშიერთ "აბა ულას" სულისშემძვრელი, ძარღვიანი სიმღერისა და ცხელი კაცური ცრემლის მაგიერ ზურგში "ცივი ჩაის" სავსე ბოთლებისა და ბოქლომ-არმატურების წვიმა დავაწიეთ. ვაჰ, დრონი, დრონი...

ნუღარ ვატკენთ გულს იუბილეარს და ერთმანეთს ცუდის გახსენებით და 1981 წელი მოვიგონოთ - დიდი "დინამოს" დიადი ხუთწლედის ზეობის ხანა. დიუსელდორფის ფინალამდე ჯერ იყო დაუვიწყარი სპექტაკლი ლონდონში, "ეპტონ პარკზე", საფეხბურთო "კავკასიური ცარცის წრე"... ალბათ, უპრიანია ყველა მომდევნო თაობის ქართველ ფეხბურთელს აჩვენონ ამ მატჩის ჩანაწერი, საფეხბურთო "უნარ-ჩვევების ტესტი" სწორედ ამას ჰქვია...

*"დინამომ" ითამაშა, როგორც მსოფლიოს საუკეთესო საკლუბო გუნდმა, რომელიც კი მინახავს ამ ბოლო 5-7 წლის მანძილზე. მათ გვიჩვენეს მაღალი ტექნიკა, ინტელექტუალური ფეხბურთი. ეს დიდებული და ჭკუის სასწავლი სანახაობა იყო, როცა გუნდის ინტერესებისთვის გაერთიანებულმა თერთმეტმა მაღალი კლასის მოთამაშემ თამაშის მკაფიო ტაქტიკური სურათი შექმნა. მიუხედავად იმისა, რომ ჩემი თანამემამულეები დამარცხდნენ, თამაშმა ნამდვილი სიამოვნება მომანიჭა".*
*სერ სტენლი როუზი - ფიფას ყოფილი პრეზიდენტი*

*"ვესტ ჰემის" იმედები გაცამტვერდა, როცა მათ დინამოელებმა საფეხბურთო ოსტატობის გაკვეთილი ჩაუტარეს. აი, რას ნიშნავს კლასი! დიდი ხანია, ასე უმწეონი არ მინახავს "ვესტ ჰემის" ფეხბურთელები. მათ პირწმინდად წააგეს თამაში, თანაც საკუთარ მოედანზე".*
*ჯოკ სტაინი - "დეილი ტელეგრაფი"*

*"თბილისელთა შესანიშნავმა თამაშმა "ვესტ ჰემის" გულშემატკივრები აიძულა თამაშის შემდეგ ფეხზე ამდგარიყვნენ და ოვაცია მოეწყოთ თბილისელთათვის".*
*"დეილი მირორი"*

ამ თამაშის მშვენება იყო საშა ჩივაძის მიერ საკუთარი საჯარიმოდან დაწყებული გრძელი რეიდის ბრწყინვალე დაგვირგვინება - პირველი გატანილი გოლი.

*"ვესტ ჰემმა" ყურად არ იღო გაფრთხილება, რომ ჩივაძეს ძალზე ძლიერი და ზუსტი დარტყმა აქვს. მან მთელი მინდორი გადასერა და 25 იარდის მანძილიდან ყუმბარასავით გაგზავნა ბურთი მეკარე პარკსის კარებში. "ვესტ ჰემს" აქვს თბილისელებთან მატჩის ჩანაწერი. გუნდის მენეჯერმა ჯონ ლაიოლმა ამ ფილმს ასე უწოდა: "აი, როგორ უნდა ფეხბურთის თამაში!" უთუოდ ღირს ყიფიანის და ჩივაძის თამაშის კიდევ ერთხელ ნახვა".*
*"ტაიმსი"*

და კულმინაცია - 13 მაისი, დიუსელდორფის "რაინშტადიონი"... თამაშის წინა დღეს ვარჯიშზე ძლიერად დარტყმული ბურთი საშას ცხვი-

გაგრძელება B4 გვერდზე

# ალექსანდრე ჩივაძე - 50

*ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო ფეხბურთელს ალექსანდრე ჩივაძეს დღეს 50 წელი უსრულდება. თბილისის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრების ყოფილ კაპიტანს არაერთი დაუვიწყარი წუთი უჩუქებია ათასობით გულშემატკივრისთვის და, რაც მთავარია, ქართული ფეხბურთის სახელი საერთაშორისო ასპარეზზე სათანადოდ დაუცავს. ის ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი ფეხბურთელი იყო, შესანიშნავი მცველი და დიდებული კაპიტანი. შეგახსენებთ, რომ ალექსანდრე ჩივაძე წლების მანძილზე არა მარტო ჩვენს საყვარელ "დინამოს", საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც კაპიტნობდა. დღევანდელი წერილი სწორედ მას ეძღვნება, იუბილარ ალექსანდრე ჩივაძეს, ფეხბურთელს, ვინც 1981 წლის 13 მაისის საღამოს "დინამოს" დაუვიწყარი გამარჯვებისკენ გაუძღვა.*

დემიკო ლოლაძე

...1982 წლის მიწურულს გაზეთმა "ტრუდმა" საინტერესო გამოკითხვა მოაწყო: "საბჭოთა კავშირის საფეხბურთო ნაკრები ბოლო 60 წლის მანძილზე".

უცნაურია, მაგრამ ფაქტია: რესპონდენტთა უმრავლესობამ სიმბოლურ გუნდში მხოლოდ მოსკოველი და თბილისელი ფეხბურთელები დაასახელა, ტყავის ბურთის ნამდვილი ოსტატები, რომლებიც წლების მანძილზე გულშემატკივართა გულებს ლაღი, ლამაზი და შესანიშნავი თამაშით იპყრობდნენ. სიმბოლურ ნაკრებში დინამოელთა მოხვედრა არავის გაჰკვირვებია - ეს ქართული ფეხბურთის კიდევ ერთი აღიარება გახლდათ!



*გაზეთ "ტრუდის" სიმბოლური ნაკრების შარჟი*

საბოლოოდ, სიმბოლურ გუნდში, რომელიც 1-4-3-3 სისტემით გახლდათ შედგენილი, ეს ფეხბურთელები მოხვდნენ: ლევ იაშინი (მოსკოვის "დინამო"), მურთაზ ხურცილავა (თბილისის "დინამო"), ალბერტ შესტერნიოვი (მოსკოვის ცსკა), ანდრეი სტაროსტინი (მოსკოვის "სპარტაკი"), ალექსანდრე ჩივაძე (თბილისის "დინამო"), ვალერი ვორონინი ("მოსკოვის "ტორპედო"), იგორ ნეტო (მოსკოვის "სპარტაკი"), დავით ყიფიანი (თბილისის "დინამო"), გრიგორი ფედოტოვი (მოსკოვის ცსკა), ედუარდ სტრელცოვი (მოსკოვის "ტორპედო"), ვსევოლოდ ბობროვი (ცსკა).

თბილისის "დინამოს" არაერთი ბრწყინვალე კაპიტანი ჰყოლია. ალექსანდრე ჩივაძე მათ შორის უდავოდ გამორჩეულია და ღირსეული ადგილი უჭირავს. სხვა თუ არაფერი, სწორედ მისი კაპიტნობით დაიპყრო "დინამომ" ევროპული მწვერვალი - 1981 წლის 13 მაისს, დიუსელდორფში, "კარლ ცაისთან" ფინალში, ჩივაძე გახლდათ ის მოთამაშე, რომელმაც გუნდი მოედანზე გაიყვანა.

წარსულში ცნობილი ფეხბურთელისა და მწვრთნელის ვლადიმერ ელოშვილის აღზრდილი ალექსანდრე ჩივაძე 1973 წლის მიწურულს, 18 წლისა მოხვდა თბილისის "დინამოს" ოსტატ ფეხბურთელთა გუნდში და 1988 წლამდე უერთგულა მას.

ქართველთა საყვარელი კლუბის ღირსება კაპიტანმა 426 ოფიციალურ შეხვედრაში (სსრკ-ის ჩემპიონატი და თასი, ევროტურნირები, საერთაშორისო მატჩები) დაიცვა და 61 გოლი გაიტანა. რაც შეეხება საბჭოთა კავშირის ნაკრებს, ჩივაძე გუნდში 52-ჯერ გამოჩნდა და სამჯერ თავიც გამოიჩინა. სხვათა შორის, 27 თამაშში სწორედ ის გახლდათ ქვეყნის პირველი გუნდის კაპიტანი...

თბილისის "დინამოში" თამაშისას ჩივაძე 1978 წელს ქვეყნის ჩემპიონი გახდა, ხოლო 1976 და 1979 წლებში საბჭოეთის თასს დაეუფლა. 1977 წელს ის ვიცე-ჩემპიონი ხდება, ხოლო 1976 (ორჯერ) და 1981 წლებში პირველობის ბრინჯაოსმედალოსანი. 1979 წელს საბჭოთა კავშირის ხალხთა სპარტაკიადის ვერცხლის მედალს იგებს, ერთი წლის შემდეგ კი, მოსკოვის ოლიმპიურ თამაშებზე, ბრინჯაოს ეუფლება.

1980 წელს ალექსანდრე ჩივაძეს საბჭოთა კავშირის საუკეთესო ფეხბურთელად ასახელებენ. სხვადასხვა დროს შვიდჯერ შეიყვანეს სეზონის "33 საუკეთესო ფეხბურთელის" სიაში, აქედან ექვსჯერ - პირველ ნომრად.

1981 წელს "დინამოს" სახელოვანი კაპიტანი ევროპის საუკეთესო ათ ფეხბურთელს შორის ხვდება - "ფრანს ფუტბოლის" გამოკითხვით, ბებერი კონტინენტის საუკეთესო მოთამაშედ გერმანელი კარლ-ჰაინც რუმენიგე აღიარეს, ჩივაძე კი მერვე ადგილზე გავიდა! იმავე წელს მას სპორტის დამსახურებული ოსტატის წოდება მიენიჭა.

1995 წელს, საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის გადაწყვეტილებით, ალექსანდრე ჩივაძეს ლეგენდარული ქართველი მწვრთნელის ანდრო ჟორდანიას პრემია გადაეცა.

2002 წელს, თბილისში სტუმრობისას, უეფას პრეზიდენტმა ლენარტ იოჰანსონმა, ფეხბურთის განვითარებაში შეტანილი წვლილისთვის ალექსანდრე ჩივაძე უეფას უმაღლესი ორდენით დააჯილდოვა.

"ფეხბურთის კარუზოდ" წოდებულ დიდ ბორის პაიჭაძეს "დინამოს" კაპიტანი საიმედო მცველად მიაჩნდა, ფეხბურთელად, რომელიც საჭირო დროს ერთვებოდა შეტევაში და გადამწყვეტი, ძალიან ლამაზი გოლებიც გაჰქონდა. ბატონი ბორისი თვლიდა, რომ ჩივაძე დიდი საფეხბურთო ინტელექტით გახლდათ დაჯილდოებული. ცნობილმა მწვრთნელმა კონსტანტინ ბესკოვმა ალექსანდრე ჩივაძეზე საუბრისას აღნიშნა, რომ ის გუნდური სულისკვეთების ფეხბურთელი გახლდათ...

ჩივაძის ვარსკვლავად ჩამოყალიბებაში უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩვენს ფეხბურთში ყველაზე წარმატებულ მწვრთნელს ნოდარ ახალკაცს. სწორედ მისი ინიციატივით გახდა ჩივაძე ცენტრალური მცველი, ამ ამპლუაში კი ფეხბურთელის ნიჭმა ახალი ძალით გაიბრწყინა. საფეხბურთო ალღო, ბურთის ფლობის განუმეორებელი მანერა, დახვეწილი ტექნიკა, მინდვრის ხედვის იშვიათი უნარი და სხვა არაერთი შესანიშნავი თვისება გამოარჩევდა მართლაც პირველხარისხოვან ოსტატს!

ფეხბურთიდან ჩვენი საყვარელი კაპიტანი 1987 წლის მიწურულს წავიდა, გაზაფხულზე, კონკრეტულად კი 18 აპრილს, თბილისში, შვედეთთან შეხვედრისას, საბჭოთა კავშირის ნაკრებსაც გამოეთხოვა.

მისი საფეხბურთო ნიჭის უამრავი თაყვანისმცემლის სახელით, ვულოცავ იუბილეს თბილისის "დინამოს" ყველა დროის ერთ-ერთ საუკეთესო კაპიტანს, ქართული ფეხბურთის მშვენებას ალექსანდრე ჩივაძეს!

ნინია კაკაბაძის სვეტი

# გაზაფხული, მთავრობა და თევზი



როგორც იქნა, ნანი-ნანატრი გაზაფხულიც (სამჯერ გადააფურთხეთ), მგონი, ნამდვილად დადგა. საქართველოს ხელისუფლებისგან შვება და სიხარული არ არის, ისღა დაგვრჩენია ისევ ჩვენს მიკროკლიმატს, ბუნებას მივენდოთ. ოქრუაშვილებმა, მერაბიშვილებმა და, თქვენ წარმოიდგინეთ, სააკაშვილებმაც ძალიან მომაბეზრეს თავი, სიამოვნებით დავწერდი სვეტს გაზაფხულის ყვავილებზე, სუნზე, გახარებულ სახეებზე, მოახლოებულ ზაფხულზე და ა.შ. და ა.შ. პირველი - არ მეხერხება ტკბილი წერილების წერა, თუკი, ბუნებრივია, ადრესატი ტკბილი არ არის და მეორე - მაინც ვერსად გავურბივარ იმას, რასაც ვისმენ და ვხედავ.

ეს ქვეყანა რომ არ შეცვლილა, ფაქტია, პატარა დეტალების გარდა. ყველაფერი ძველებურად გრძელდება, პატრულის არსებობის მოშველიებამ გასაჭირში, უკვე ყველა დაგვღალა, მგონი, საერთო ჯამში, შინაგან საქმეთა სამინისტროში ცვლილებები არ არის, მხოლოდ ის ცვლილებაა, რომ იქ დღეს გამარჯვებული ტელევიზიის ჟურნალისტები და კმარას აქტივისტები მუშაობენ, თავდაცვის მინისტრი გესტაპოდან გამოგზავნილ აგენტს ჩამოჰგავს, რომელიც ქართული ჯარისთვის, ეტყობა, სისხლისმსმელი მეომრების მომზადებას აპირებს, თავად კი ყველა ის პატარა ადამიანური ნიშანწყალი დაკარგა, რომელიც აქამდე ჰქონდა (მინიმალურად). მერაბიშვილი-ოქრუაშვილის სავარაუდო თუ არსებულ დაპირისპირებაზე კულუარული საუბრები უკვე ყველა ზღვარს ცდება. პარლამენტში ვიტალი ხაძარაძის ნაცვლად, მრავალი პოსტ-ვიტალები გვისხედან და საკუთარ კეთილდღეობაზე ფიქრობენ, ძალაუფლებისთვის მებრძოლი სუბიექტები ისევ მიზანმიმართულად მიიწევენ წინ, კრიმინალური სამყარო ისევ ერთ-ერთი წამყვანი ძალაა... სპექტაკლებსაც ისევ გვიმზადებენ და წარმოგვიდგენენ.

გუშინ ერთმა კრიმინალმა მეორე კრიმინალი დაიჭირა და ჩვენ უნდა გვიხაროდეს. მიუხედავად იმისა, რომ მერაბ ჟორდანიას უპატიოსნებაში ეჭვი არ შემაქვს, სამართლიანობასთან მისი დაკავება მაინც ვერ ასოცირდება. კეზერაშვილს დღეს ჯერ იმდენი არ მოუპარავს, რამდენიც უკვე ჟორდანიამ, და ჩვენთვის, ხალხისითვის რა განსხვავებაა, - ვინ მოიპარავს, ხალხის ჯიბეში ხომ არც ერთს მიაქვს და არც მეორეს. ეს ყველაზე ცუდია, ეს ისე ცუდია, რომ გაზაფხულის ტბილი ამინდიც არ შველის. ქვეყანა ისევ ნაგვით აივსო და ნიჰილიზმმა საზოგადოებაში, მგონი, ისევ დიდი ხნით დაიდო ბინა. რა ქვეყანაც ვართ, ის მთავრობა გვყავს, ის ფეხბურთი გვაქვს და საზოგადოება. შესაძლებელია, ჩემი სისუსტეა და ჭკვიანი ადამიანების ისევ მჯერა, რამდენიმე ხნის წინ ტელეგადაცემა "ფსიქოში" ზურაბ ჭიაბერაშვილმა ერთი მარტივი და გონიერი სიტყვები წარმოთქვა: ფეხბურთის მატჩზე თურქების ნაცვლად გერმანელები რომ ყოფილიყვნენ, ეს ექსცესი არ მოხდებოდაო. აბსოლუტურად მართალია, ვინაიდან დღეს ჩვენ, საზოგადოება ისევ ზემოდან ვუყურებთ თურქებს (გაურკვეველი მიზეზით), ისევ შოვინისტები ვართ და ისევ საკუთარი თავი დაბანილი - თურქები, ქურთები და სომხები კი დაუბანლები გვგონია. შესაძლებელია ზურაბ ჭიაბერაშვილი საუკუთესო მერი არ იყოს, არ ვიცი, ნამდვილად ვერაფერს ვხედავ თბილისში გაკეთებულს გარდა გრანდიოზული დღესასწაულებისა: "თბილისობა" და "ახალი წელი", მაგრამ ვერც უპატიოსნებაში დავადანაშაულებ, ერთადერთი მიზეზის გამო, ჭკვიანი და გაბედული ადამიანების მჯერა და მჯერა, რომ მათთვის ნაკლებად არსებობს მეტერიალისტური ხიბლი.

ხომ ხედავთ, მეც ხავსს ვეკიდები, პირადი ფასეულობებით ვხელმძღვანელობ და არა რეალურით. უკანასკნელი შაბათის "ფსიქოში" და არა "შაბათის შოუში", რომელმაც ფსიქოს ადგილი დაიკავა და სადაც ერთი ჭკვიანური წინადადებაც არ წარმოთქმულა არასდროს და საუბედუროდ, არ წარმოითქმება (არავინ იფიქროს, თითქოს იუმორისტულ შოუში ეს წარმოუდგენელია), იმ დღეს საინტერესოდ საუბრობდა ჭიაბერაშვილი, ბევრი საინტერესო თქვა და სამწუხაროდ, ბევრიც ვერ თქვა, ვინაიდან თანამდებობის პირია და წინდახედულობა ჰმართებს, ქართლის დედასავით რომ არ დახვდეს ერთ-ერთ მოსახვევში. ჭკვიანი ადამიანი მაინც აჩენს ოპტიმიზმის სხივებს, მაგრამ საკმარისი რომ არ არის, ესეც ცხადია.

დავუბრუნდეთ გაუნათლებელ და უჭკუო ადამიანებს. დროში გაწელილმა ზამთარმა უიმედობის გამყარებას ხელი შეუწყო. ახლა დათბება, ხალხი პრობლემებს მეორე პლანზე გადაიტანს, გლეხი მიწას მიუბრუნდება, ამ დროს მინისტრები ტერიტორიებს და მომგებიან ობიექტებს გადაინაწილებენ, პრეზიდენტს მისი მთავარი მისია - ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის საკითხები გაახსენდება, ნავარჯიშევ ჯარისკაცებს სადმე გაგზავნის, კიდევ რამდენიმე ახალგაზრდა ბიჭი შეეწირება წინდაუხედავ ნაბიჯებს; ისევ გვეტყვიან, არაფერი მომხდარაო, ჩვენ მშვიდობა გვინდაო, ჩვენც დავიჯერებთ და მერე ისევ ზამთარი დადგება - მომავალ ზამთარს შუქი ისევ არ იქნება და არც წყალი. ამის შეხსენება, მგონი, არავის სჭირდება. შარშან პატრული გვქონდა, რომელსაც მთელი წელი გვაძახებდნენ; დაინახეთ კარგიცო, მომავალ წელს ბუშის ვიზიტს ამოგვადენენ კისერში და ასე გაგრძელება, ვიდრე ერთი ხავსის ნაგლეჯი მაინც არ შეგვრჩება ხელში. ერთი სიტყვით, დღეს, მგონი, ყველამ იცის, რომ მდგომარეობა კიდევ დიდხანს არ გამოსწორდება, ჩვენს ქვეყანას კიდევ დიდხანს არ ეშველება იმიტომ, რომ დიდ ხანს არ დაილევიან ფულის და ფულის საშუალებით ძალუაფლების მოსურნე ქართველები.

ამიტომ ღმერთის მიერ შექმნილ ბუნებას მივენდოთ, იმ ცხოვრებით გავიხაროთ, რაც ღმერთმა გვარგუნა და საკუთარ თავს იმდენი ბედნიერება ვუსურვოთ, რამდენი თევზიც ჭამეს გუშინ მემარხულე მართლმადიდებლებმა.

# ოქროსფერი ქალები

## თაკო შაშიაშვილის "ბედის ბორბალი" გალერეა TMS-ში დატრიალდა

ია ვეკუა



მინახავს, როგორ ერწყმის ერთმანეთს თეატრი და ქორეოგრაფია, როგორ ცეკვავენ სიმღერის ფონზე და დადგმული მოძრაობით პროტესტს გამოხატავენ, მაგრამ არასდროს შევსწრებივარ ფერწერული გამოფენისა და პლასტიკის სინთეზს. თაკო შაშიაშვილი ხატავს და თავადვე ზრუნავს საკუთარი ნამუშევრების ქორეოგრაფიულ ილუსტრირებაზე.

გალერეა TMS თაკო შაშიაშვილის გამოფენას მასპინძლობს. გოგა ჩანადირის მინორული შრილანკური ფოტორეპორტაჟის შემდეგ აშკარად იგრძნობა, რომ გალერეის მესვეურებმა საკუთარ სივრცეში გაზაფხულის შეტანა მტკიცედ გადაწყვიტეს და ეს მისია წარმატებითაც განახორციელეს. თაკო შაშიაშვილი მათ ამ მიზნის მიღწევაში ერთგულად დაეხმარა და ერთმნიშვნელოვნად ქალური, აპრილივით ჰაეროვანი თემატიკის ნამუშევრები წარმოადგინა.

მისი ექსპოზიციის მთავარი გმირი ქალია: სამი ქალი ქარს ებრძვის, ოთხი ქოლგების ქვეშ წვიმას ემალება, ხუთი მეგობარი კი გაზაფხულის ფერებში გახვეულა. მხატვარი ასეთ "დამთხვევას" ბუნებრივ მოვლენად აღიქვამს და ამბობს: "ყველა მხატვარი საკუთარ განცდებს გადმოსცემს და, შესაბამისად, ნამუშევრებიც ავტორზე მეტყველებენ. ვფიქრობ, ქალი ის არსებაა, რომელსაც საუკეთესოდ შეუძლია გრძნობების გამოხატვა და მეც ამ ტილოების მეშვეობით ქალის ამეტყველება ვცადე".

განსაკუთრებულია თაკო შაშიაშვილის მხატვრული ენაც. იგი არ ერიდება თამამ ექსპერიმენტებს და აქტიურად იყენებს ბევრი მხატვრისთვის, ალბათ, ნაკლებად სასურველ ოქროსფერსა და ვერცხლისფერს. ეს ცივი ფერები მისი თითქმის ყველა ნამუშევრის ძირითადი ფონია, მხატვარი კი მათგან საოცრად ჰაეროვანი და მსუბუქი გამოსახულებების შექმნას ახერხებს. "ფერებთან მიმართებაში დადგენილ ჩარჩოებს არ ვაღიარებ. მიმაჩნია, რომ თამამ ექსპერიმენტს მხატვრები, რაც შეიძლება, ხშირად უნდა მიმართავდნენ და დოგმატური შეხედულებები არ უნდა ბოჭავდეთ", - ამბობს მხატვარი.

ოქროსფერი იყო პანტომიმის მსახიობების კოსტიუმებიც, რომლებმაც გამოფენის გახსნაზე თაკო შაშიაშვილის ქორეოგრაფიით დადგმული სპექტაკლი-კომპოზიცია "ბედის ბორბალი" წარმოადგინეს. როგორ თავად ავტორმა აღნიშნა, გამოფენა მხატვრობის, მუსიკისა და თეატრის სინთეზია, ამიტომაც იყო აუცილებელი მისთვის ვიზუალური დატვირთვის დამატებაც.

გამოფენის თეატრალურობაზე ისიც მეტყველებს, რომ საკმაოდ ფართოდაა წარმოდგენილი ბუმბულით, მძივებით, ბადითა და მოელვარე ფირფიტებით გაწყობილი ნიღბები. ისინი, სავარაუდოდ, დეკორატიული მოხმარებისთვისაა, რადგან რამდენიმე მათგანი ისეთი ზომისაა, რომ მხოლოდ პიგმეების უმცროსი შვილები თუ გამოიყენებენ სასკოლო კარნავალზე.

თეატრალური თემატიკისადმი ასეთი დამოკიდებულების მიუხედავად, თაკო შაშიაშვილს ხელოვნების ამ სფეროსთან შეხება არა აქვს და მასთან ურთიერთობას საკუთარ გამოფენაზე წარმოდგენილი "ბედის ბორბლით" შემოფარგლავს.

საკმაოდ საინტერესოა სამგანზომილებიანი აპლიკაციები. ავტორი მათ სივრცობრივ ნამუშევრებს უწოდებს და საკუთარ გამოგონებადაც მიიჩნევს. ცოცხალი ყვავილების ჰერბარიუმს ბუნების ფონად იყენებს, ხოლო ქაღალდის ფიგურები ადამიანების როლში გვევლინებიან.

თაკო შაშიაშვილის ნამუშევრებს არც პროტოტიპები ჰყავთ. იგი ქმნის განწყობის მიხედვით და ხატავს, როგორც ამ მოვლენებს აღიქვამს.

# ამარკორდი - კომფორტი და ხელოვნება

## მათთვის, ვისაც კინოშედევრები მოენატრა

სოფო კილასონია




*ნამდვილად არ ვიცი, ამ სტატიის მკითხველი რამდენად ხშირად დადის კინოთეატრებში და რომელ მათგანს ამჯობინებს. თუმცა, ის ზუსტად ვიცი, რომ დიდ კინოდარბაზებში ("ამირანი", "რუსთაველი") და კინოს სახლში რადიკალურად განსხვავებული ინტერესებისა და გემოვნების მაყურებელი იყრის თავს. საფესტივალო ფილმებს, პრინციპში, მაყურებელი არ ჰყავს, ყოველ შემთხვევაში, იმდენი არა, რომ კინოთეატრები მათი ჩვენებით დაინტერსდნენ, თუ არ ჩავთვლით შემოდგომით მიმდინარე რამდენიმე კინოფესტივალს, რომელშიც კინოთეატრი "ამირანიც" იღებს მონაწილეობას. სასურველ ფილმს კინომცოდნენი და მოყვარულნი ტელევიზიით თუ წააწყდებიან, ისიც იშვიათად. ამ მხრივ, უკვე დიდი ხანია, რაც კინოს სახლი გამონაკლისია და მეტად იაფფასიანი ბილეთებისა და საინტერესო რეპერტუარის წყალობით, მისი პატარა დარბაზიც ხშირად ივსება, თუმცა ამ თვალსაზრისით, უკვე სამი კვირაა, რაც იგი მარტო არ არის და საკმაოდ ძლიერი კონკურენტი გამოუჩნდა.*

15 მარტს კინოთეატრ "ამირანში" პატარა დარბაზი, სახელად "ამარკორდი", გაიხსნა. საპრეზენტაციო ფილმები დამოუკიდებელი კინოსაპროდიუსერო კომპანიის "ტაიას" სტუდიის ნამუშევრები დათო ჯანელიძის, დიტო ცინცაძის და გიორგი ოვაშვილის კავშირის თემაზე შექმნილი სამი მოკლემეტრაჟიანი ფილმი გახლდათ. ამით კი ამარკორდმა თავიდანვე განაცხადა, რომ მისთვის პრიორიტეტული ყოველთვის ქართული ფილმი იქნება, თუმცა ეს ფაქტორი მისი რეპერტუარის მრავალფეროვნებას სულაც არ შეზღუდავს.

"ამარკორდს" გახსნიდან სამი კვირის შემდეგ ვესტუმრეთ და საღამოს რვა საათზე, კიმ კი დუკის "სამარიტელი ქალის" (რომელმაც 2004 წელს საუკეთესო რეჟისურისთვის "ვერცხლის დათვი" მოიპოვა) ჩვენებასაც დავესწარით და სანამ მეორე ფილმი, დევიდ ლინჩის "ლურჯი ხავერდი" დაიწყებოდა, ახალი კინოდარბაზის არტ-მენეჯერს, რეჟისორ ქეთი მაჭავარიანსაც შევხვდით. სწორედ მისგან შევიტყვეთ, რომ "ამირანის" მცირე დარბაზი ინტელექტუალური კინოფილმების ჩვენებასა და მათ მოყვარულთა მოზიდვას გეგმავს. უკვე სამი კვირაა მას შემდეგ, რაც "ამარკორდი" მაყურებელს საფესტივალო ფილმებსა და კინოკლასიკას სთავაზობს. ქეთი მაჭავარიანის თქმით, ხელმძღვანელობას დიდი სურვილი აქვს, რომ ახალი დარბაზი გახდეს ადგილი, სადაც კინომოყვარულები ევროპულ, აზიურ თუ ამერიკულ კინო შედევრებს იხილავენ და იმ რეჟისორთა ნამუშევრებს გაეცნობიან, რომელთა ხილვის საშუალებაც არც თუ ისე ხშირად გვეძლევა.

**"დარბაზი თავისი ფორმატით ქართულ კინოს შეესაბამება, ამიტომ გადავწყვიტეთ გაგვეხსნა ქართული ფილმებით - დამოუკიდებელი კინოსაპროდიუსერო კომპანიის "ტაიას" სტუდიის ნამუშევრებით. ამ დარბაზში მუდმივად უნდა გადიოდეს კინოკლასიკა, საფესტივალო ფილმები, ევროპული, აზიური, ამერიკული არაკომერციული კინო. ასეთი კინოს მოყვარულებს კინოდარბაზში ფილმის ნახვა მოენატრათ. დიდი ხანი არ არის, რაც მუშაობა დავიწყეთ და ჯერჯერობით მაყურებელი დადის."** - გვითხრა ქეთი მაჭავარიანმა და "ამარკორდის" სამომავლო გეგმებიც მოგვიყვა.

სულ მალე ამირანში კინო-კაფე გაიხსნება. უკვე ნანახით თუ ვიმსჯელებთ დიზაინერების მცდელობა, რომ კაფეში კინოესთეტიკა შექმნან, წარმატებით მიმდინარეობს. კინოკაფეში ამუშავდება საკლუბო სისტემა. კინოხელოვნების მოყვარულთათვის და ერთგული მაყურებლისთვის "ამარკორდში" აბონემენტებიც გაიყიდება და სათანადოდ მათთვის ბილეთის ფასიც, რომელიც ამჟამად ხუთ ლარს წარმოადგენს, ბევრად ნაკლები იქნება.

მას შემდეგ, რაც ახლ დარბაზს საკუთარი მაყურებელი გაუჩნდება, მის კაფეში სხვადასხვა სტუმრებთან, სხვადასხვა შინაარსის შეხვედრები მოეწყობა. თავად კინოდარბაზი კი ქართველი და არაქართველი რეჟისორების ფილმების რეტროსპექტივას შემოგვთავაზებს, რასაც მათი შემოქმედების გარშემო დისკუსიებისა და მასტერკლასები დაემატება: **"მოეწყობა შეხვედრები რეჟისორებთან, ვისაუბრებთ კინოსა და არა მხოლოდ კინოზე. ეს მომავლის გეგმებია, ჯერჯერობით დარბაზს მუშაობა მაინც უჭირს, ამ ეტაპზე აქტიური ამუშავება ესაჭიროება, რაც ბუნებრივია, მაყურებლის ინტერესზეა დამოკიდებული."** - გვითხრა "ამარკორდის" ხელმძღვანელმა, რომელმაც საუბრის ბოლოს დღევანდელი საღამოსთვის დაგეგმილ კინოჩვენებებზე დაგვპატიჟა.

"ამირანის" მცირე, მაგრამ მეტად მომხიბვლელი, მყუდრო და ლამაზი კინოდარბაზი ამ საღამოს საკუთარ კომფორტულ სავარძლებში მოკალათებულ მაყურებელს ორ ფილმს უჩვენებს. ინგმარ ბერგმანის ბოლო ნამუშევარს - "სარაბანდა" (20 სთ-ზე) და ტერი გილიამის "ბრაზილიას" (22 სთ-ზე). მისთვის, ვინც ამ საღამოს "ამარკორდში" ვერ მოხვდება, ეს კინოშედევრები მომავალ პარასკევამდე გამეორდება.



# ტიმ ბარტონმა ციყვები გაწვრთნა



რეჟისორი, რომელიც ჰოლივუდის მთავარ მეზღაპრეობას თვით სტივენ სპილბერგსაც ეცილება, მორიგი გიჟური პროექტის განხორციელების პროცესშია. ტიმ ბარტონი საბავშვო მწერლის როალდ დალის არაერთხელ ეკრანიზებულ და მრავალსცენამოვლილ "ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკას" იღებს (ნაწარმოები ქართულადაცაა თარგმნილი). მთელი სიგიჟე კი იმაში მდგომარეობს, რომ რეჟისორმა ასობით ციყვს ტყის თხილის გარჩევა და დახარისხება ასწავლა. ეს სიამოვნება რამდენიმე მილიონი დოლარი დაჯდა.

ბარტონის ახალი ფილმის მთავარი გმირი ჩარლი ბაკეტი ღარიბი ოჯახის შვილია. მისი სახლის ახლოს შოკოლადის უზარმაზარი ფაბრიკაა, რომლის კარი ყოველთვის დაკეტილია და, ამავდროულად, ქალაქის მთავარ ღირსშესანიშნაობას წარმოადგენს. ერთ დღეს ჩარლი მომგებიან შოკოლადს იყიდის, რომელშიც ოქროს ბილეთია დამალული და პრიზად ფაბრიკის დათვალიერებას მოიგებს. ჩარლი ბაბუასთან და ოთხ სხვა გამარჯვებულთან ერთად ფაბრიკის ლაბირინთივით დახლართულ შენობაში სამოგზაუროდ გაემართება და უამრავი რამ გადახდება თავს.

იდუმალი ფაბრიკის მფლობელი ექსცენტრული ვილი ვონკია, რომელიც არასდროს ტოვებს თავის შოკოლადის სამეფოს და თანაქალაქელებთან კონტაქტსაც ერიდება. მის როლს ბარტონის საყვარელი მსახიობი ჯონი დეპი ასრულებს. მის გარდა, ფილმში მონაწილეობენ ფრედი ჰაიმორი, ჰელენა ბონემ კარტერი, კრისტოფერ ლი, ჯულია უინტერი და სხვები.

ნაწარმოებში არის სცენა, როდესაც საგანგებოდ გაწვრთნილი ციყვები შოკოლადის შიგთავსად განკუთვნილ თხილს ოსტატურად არჩევენ. 200 ციყვი დაბადებისთანავე სპეციალურ სკოლაში გაგზავნეს, სადაც ცირკის თანამშრომლები ექვსი თვის განმავლობაში ყოველდღიურად ავარჯიშებდნენ. თუმცა, გამოცდა ყველამ ვერ ჩააბარა, ამიტომ ფილმში მხოლოდ 40 ციყვი მოხვდა.

"ჩარლი და შოკოლადის ფაბრიკა" რამდენჯერმეა ეკრანიზებული, მაგრამ ციყვების ტრიუკი არც ერთ მათგანში არ შესულა. ტიმ ბარტონი, როგორც ყოველთვის, მაქსიმალისტი აღმოჩნდა და საინტერესო სანახაობისთვის ზედმეტი მილიონები არ დაიშურა. ამ "ისტორიულ" სცენას ათი თვის განმავლობაში იღებდნენ. გარდა ამისა, ყველა სცენაში, სადაც შოკოლადის ჩანჩქერი, მდინარე და კარამელის გორები ჩანს, ნატურალური პროდუქტია გამოყენებული.

ვილი ვონგის როლს ფილმის ადრინდელ ვერსიებში სტივ მარტინი, რობინ უილიამსი, კრისტოფერ უოკენი, ნიკოლას ქეიჯი და მაიკლ კიტონი ასრულებდნენ. ტიმ ბარტონამდე მარტინ სკორსეზეს კანდიდატურაც განიხილებოდა, რომელსაც ადრე არასდროს გადაუღია საბავშვო ფილმი. ხოლო ვილი ვონკის როლზე კინაღამ სრულიად არასაბავშვო სახე - მერლინ მენსონი დაამტკიცეს.


სახელი

გვარი

ასაკი

სიმაღლე

მისამართი

საკონტაქტო ტელეფონის ნომრები

1 ოჯახური მდგომარეობა :
დაქორწინებული
დაუქორწინებელი
გაყრილი
ქვრივი

2 შვილები: (თუ გყავთ)

3 პროფესია :

4 სამუშაო ადგილი (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

5 ადრე სად მუშაობდით? (მოკლედ აღწერეთ თქვენი საქმიანობა)

6 სხვა რომელ ტელეშოუებში გაქვთ მონაწილეობა მიღებული, სად და როდის?

7 სხვა რომელ არასატელევიზიო კონკურსებში და შეჯიბრებებში მიგიღიათ მონაწილეობა სად და როდის?

8 თქვენი ინტერესები

9 თქვენი ჰობი

10 თქვენი საყვარელი გადაცემა და ტელეშოუები ?

11 როგორ დახარჯავდით 8000 ლარს ერთ დღეში ? (პასუხი: ერთ დღეში ვერ დავხარჯავ არ მიიღება)

12 როგორ გრძნობთ თავს ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ? (ახსენით პასუხი)

13 როგორ წარმოგიდგენიათ თქვენი თავი გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაშის დროს ? (ახსენით პასუხი)

ჩემი ხელმოწერით ვადასტურებ, რომ მოწოდებული ინფორმაცია არის ზუსტი და რომ არც მე და არც ჩემი ოჯახის წევრი არ მუშაობს სამაუწყებლო კომპანია "რუსთავი 2"-ში.

ხელმოწერა______________ თარიღი__________

ანკეტა ხელმოწერის გარეშე არ მიიღება !



გადაცემა
სუსტი რგოლი

მოთამაშის ანკეტა

გეხერხებათ კროსვორდების ამოხსნა?

გიყვართ ინტელექტუალური თამაშები?

არ გეშინიათ, გადაცემაში "სუსტი რგოლი" თამაში?

დაგვიკავშირდით, "რუსთავი 2" ეძებს ერუდირებულ, თამამ, მონებაგახსნილ კონკურსანტებს.

გადაცემაში მონაწილეობის მისაღებად საჭიროა გქონდეთ მხოლოდ ზოგადი განათლება, იუმორის გრძნობა და მოგების სურვილი.

ანკეტა გამოგვიგზავნეთ ფოსტით ან მოიტანეთ მისამართზე:

თქვენი ფოტოსურათი


## TV პროგრამა

8 აპრილი

### რუსთავი - 2

**07.30** დილა **08.00** ჯეტიქსი **10.00** სერიალი "ეკლები და ვარდები" **11.00** ვის უნდა 50 ათასი **12.00, 15.00, 17.00, 18.00, 21.00, 01.15** კურიერი **12.20** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **13.30** მხ. ფილმი "ეპილოგი" **15.25** სერიალი "ბევერლი ჰილზი" **16.30** სერიალი "ეკლები და ვარდები" **17.25** ჯეტიქსი **18.30** პატრული **18.50** ფორტ-ბოიარდი **19.50** სერიალი "გრძნობათა ტყვეობაში" **22.00** ღამის შოუ **23.00** მხ. ფილმი "დორზი" (18) (ველ კილმერი) **01.30** პატრული **01.50** მხ. ფილმი "უანდერლენდი" (18)

### JIST

**09.00** პროგრამა "დილა" **11.00** "საბავშვო ხუთეული" **11.30, 16.45, 20.30** სტერეო-ნიუსი **11.54** პოპ-ათეული **12.30** სმს-ჩარტი **13.30** სტერეო-რეპი **14.00** ავტოპილოტი **15.00** სმს-ჩარტი **16.00** პოპ-ათეული **17.00** რეტრო **17.30** "საბავშვო ხუთეული" **18.00** სმს-ჩარტი **19.00** ლიტ. ვიქტორინა **20.00, 23.00** "ქალაქური" **21.00** რეტრო **21.15** პოპ-ათეული **22.00** სმს-ჩარტი **01.00** ავტოპილოტი

**08.00** "ადრე" **22.00** დოკ. ფილმი "შედევრის პირადი ცხოვრება" **11.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **12.00** "მთავარი" **12.20** ანიმაციური ფილმი "რედვოლი" **12.45** დოკ. ფილმი "პატარა კენგურუ" **13.00** "სარჩევი" **14.00** სერ. "მაქსიმო ჩემი სიყვარული" **15.00** "მთავარი" რუსულ ენაზე **15.30** "პროფესიონალი" - ნავთობის მოპოვება **16.00** დოკ. ფილმი "მითხარი რატომ" **16.30** დოკ. ფილმი "ჯანსაღი კვების სტილი" **17.30** "ვაკანსია" **18.00** "მთავარი" -რეგიონებიდან **18.30** სერ. "შირლი ჰოლმსი" **19.00** "ჰოლმარკი" - "მოგზაურობა დედამიწის ცენტრისკენ" მე-4ს. **20.00** "მთავარი" **20.45** "ბაბილინა" **21.00** სერ. "მემკვიდრე ლუნა" **22.00** მხედრობა **23.00** "ტაქსი" - ინგა გრიგოლია **23.30** მუსიკა - ნატ კინგ კოლი **00.30** მხ. ფილმი "ხმის ოპერატორი" (15) **02.00** საინფორმაციო გამოშვება

### კავკასია

**11.00, 13.00, 17.20, 23.00, 00.30** ტუწ-ემ **11.30** მხ. ფილმი "ცხარე წიწაკები" (გ) **17.00, 19.00, 20.30, 00.00** საინფორმაციო პროგრამა "დღეს" **19.20** სპექტრი **22.00** მხ. ფილმი "ველური წარმატება" (გ)

### 202

**10.00** დებატები (განმ.) **12.00** მუსიკალურ-გასართობი გადაცემა "პროპაგანდა" **13.00** სერიალი "დიდი სახლი" (გან.) **14.00** მუს. გადაცემა "პროპაგანდა" **18.00** მუსიკა **22.00** სერიალი "დიდი სახლი" **23.00** დებატები 202-ზე

### მზე

**08.30** მუსიკა მზეზე **09.00** ფარული კამერა **09.30** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **09.50** შემეცნ. გადაცემა "კლინიკა მედი" **10.00** სერიალი "პოლიციელი ქალები" **11.00, 13.00, 14.00, 16.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **11.10** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **12.05** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **13.05** "დიელი და პასკო" **14.15** არჩევანის ზღვარზე **15.10** შემეცნებითი პროგრამა "სამყაროს უთვალავი ფერი" **16.05** "ველური მთვარე" **17.00, 20.00** საინფ. გამოშვება "მზერა" **17.20** "დიელი და პასკო" **18.20** "გეპატიჟებათ ბარტ ვულფი" **18.50** მუსიკა **19.05** სერიალი "ჩენტო ვეტრინე" **20.45** სერიალი "პოლიციელი ქალები" **21.45** არჩევანის ზღვარზე **22.45** "ავტოგრაფი". ალექსანდრე ჩივაძე. **23.30** მხ. ფილმი "დოგმა - გახსნილი გულები" (18) (სონია რიხტერი)

### მეორე არხი

**19.00** სერიალი "ცხელი ზაფხული" **19.50** "ბაბილინა" **20.05** სერიალი "გადაადგილების საშუალებები" **20.30** დოკ. ფილმი "კანის ფესტივალი" **21.20** აფხაზეთის ტელევიზია **22.00** კინოსეანსი "დიდი ოჯახები"

### იმედი

**07.00** დოკ. სერიალი "ბრძოლა გადარჩენისთვის" **07.45** იმედის დილა **08.00, 09.00, 10.00, 11.00, 12.00, 13.00, 14.00** ქრონიკა **08.05** იმედის დილა **09.15** "ნუცას სკოლა" **10.05** სერიალი "მოჯადოება" **11.15** სერიალი "ცხელი ძაღლი-1" **12.20, 17.10, 03.05** იმედის მელოდიები **12.40, 16.25, 02.35** ტვ-მარკეტი **13.15** მხ. ფილმი "ჰოლდენის ნაკვალევზე" (რ. ბლენჩარდი) **15.00, 17.00, 18.00, 19.00, 22.00, 01.35** ქრონიკა **15.20** სერიალი "ოცნების სანაპირო" **16.40** დოკ. სერიალი "მოგზაურობა დედამიწის გარშემო" **17.25** "ათასიდან ერთი შანსი" **18.05** სერიალი "მოჯადოება" **19.35** სერიალი "ოცნების სანაპირო" **20.30** თოქ-შოუ "რეაქცია" **22.55** "ნიკა ქავთარაძის შოუ" **00.05** მხ. ფილმი "ტრეფიკი" (18) (კეტრინ ზეტა ჯონსი)

### აჭარა

**08.00** მუსიკა **08.30** საინფორმაციო დაიჯესტი **09.00** სერიალი "ჩემი სამი და" (გან) **10.05** "გადარჩენილი სიტყვა" **10.45** "ექსკლუზივი" **11.30** კომედია "ქალალდის ჯარისკაცები" **13.00** მხ. ფილმი "ბიჭები" **14.30, 17.30, 20.30** საინფ. გამოშვება **14.50** მხ. ფილმი "უკანასკნელი იმპერატორი" **17.55** მულტფილმი **18.30** საინფორმაციო გამოშვება "ნოვოსტი" **18.55** მუსიკა **19.30** სერიალი "ჩემი სამი და" **21.05** მუსიკა **22.10** "ფეხბურთი და ჩვენ" **23.00** დოკ. ფილმი "ბარბაროსები" **00.00** საინფორმაციო დაიჯესტი **00.25** მხ. ფილმი "ჯაჭვური რეაქცია"

### ОРТ

**06.00** Доброе утро". **09.00, 12.00, 15.00, 18.00** Новости. **09.20, 21.30** Сериал **"ГИБЕЛЬ ИМПЕРИИ". 10.30, 18.40** Сериал **"КЛОН". 11.30** Дисней-клуб: "Алладин". **12.20** Многосерийный фильм **"АЗАЗЕЛЬ".** Заключительная с. **13.20** Леонид Филатов в детективе **"ПЕТЛЯ".** Закл. с. **14.30** "Угадай мелодию" **15.20** Владимир Ивашов в комедии **"СЕМЬ НЯНЕК" 16.50** "Пять вечеров". **18.20** Док. детектив. "Оправдание падшего ангела". Дело 2000 года. **18.50** "Основной инстинкт" **19.50** "Поле чудес" **21.00** Время. **21.25** Большая премьера. **22.50** Чарли Шин в комедии **"ОЧЕНЬ СТРАШНОЕ КИНО - 3". 00.20** Брэд Питт в боевике **"СОБСТВЕННОСТЬ ДЬЯВОЛА". 02.10** Вайнона Райдер в фильме **"КАК СДЕЛАТЬ ЛОСКУТНОЕ ОДЕЯЛО".** Молодой аспирантке Финн Додд нужна небольшая передышка. Уж слишком много навалилось проблем. Необходимо срочно закончить диссертацию, да и подготовка к свадьбе с Сэмом отнимает много сил. К тому же в голову лезут всякие глупые мысли о конце свободной жизни. Финн не уверена, готова ли к столь ответственному шагу. И тогда она решает уехать на лето к бабушке Хи и тете Глэдис Джо. Энергичные старые дамы начинают шить специальное стеганое одеяло - свадебный подарок для Финн. За работой они вспоминают много романтических историй из своей жизни. Финн слушает эти истории, словно захватывающий роман. **04.30** Сериал **"ДОКТОР КУИНСИ". 05.20** "Гении и злодеи".

### НТВ

**06.00** "Сегодня утром". **09.05** Сериал **"СКОРАЯ ПОМОЩЬ". 10.00, 13.00, 16.00, 19.00, 22.00, 00.00** "Сегодня" **10.15** Военное дело. **10.50** Сериал **"СЛЕПОЙ". 11.55** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 13.30** Чистосердечное признание. **14.00** Худ. фильм **"ГОСУДАРСТВЕННАЯ ГРАНИЦА".** Фильм 4-й. **"КРАСНЫЙ ПЕСОК". 2**-я с. **15.35** Чрезвычайное происшествие. **16.20** Ток-шоу "Принцип домино". **17.30** "Стресс". Ток-шоу Александра Гордона. **18.35** Чрезвычайное происшествие. **19.35** Сериал **"ФАВОРСКИЙ". 9**-10 серии, закл. **21.50** Чрезвычайное происшествие. **22.40** Совершенно секретно. Информация к размышлению. **23.35** Джоди Фостер в фильме **"КОНТАКТ".** Радиоастроном доктор Элли Эрроуэй мечтала о звездах с детских лет, когда вместе с отцом занималась радиолюбительством и выходила на связь в эфир. Она рано потеряла родителей и думала, что они где-то далеко, в пространстве... Однажды во время изучения "музыки сфер" он получила искусственный сигнал с Веги. По расшифрованным данным была построена установка для путешествия. Вокруг грандиозного проекта сгрудились не только энтузиасты, верящие в контакт, но и те, кто хотел помешать: скептики, представители ортодоксальных учений и террористы, уничтожившие первую установку. На другой Элли отправилась в неведомое. Она увидела прекрасный мир и даже встретилась с отцом. Вернувшись из другого мира, Элли не смогла подтвердить того, что она пережила и увидела. Но не было доказательств того, что она там не была... А иные миры существуют. **02.30** Бильярд. **02.45** Кома: это правда. **03.15** Сериал **"СУПЕРШПИОНКИ". 04.15** Сериал **"ЗА ГРАНЬЮ ВОЗМОЖНОГО". 05.05** Сериал **"ТАРЗАН". 05.55** Чрезвычайное происшествие.

## გარდაიცვალა გივი ნოდია



ქართულ ფეხბურთს გივი ნოდია აღარ ჰყავს. ცხოვრებიდან წავიდა საქართველოს ყველა დროის ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი, მწვრთნელი და პიროვნება, რომლის წინაშეც მთელი ქართული საფეხბურთო სამყარო დიდ ვალშია. ეს ამბავი იმდენად მოულოდნელი და თავზარდამცემია, რომ დაჯერება არ გვინდა. "24 საათის" რედაქცია სამძიმარს უცხადებს ბატონი გივი ნოდიას ოჯახს, ახლობლებს, ქართულ საფეხბურთო საზოგადოებრიობას და მთელ საქართველოს.




იუბილე

# სრულყოფილი კაპიტანი



*მოსკოვში, ლევ იაშინის ბენეფისზე. მარცხნიდან: ალექსანდრე ჩივაძე, ეუსებიო, ბობი ჩარლტონი, კახი კავსაძე და მიხეილ ჭიაურელი*

B1 გვერდიდან

რში მოხვდა და სისხლი წასკდა, საღამოს სიცხემ ორმოც გრადუსამდე აუწია, წამლის მიღება მომავალი დოპინგ-კონტროლის გათვალისწინებით არ შეიძლებოდა და ზაქრო თელიამ მამაპაპური მეთოდებით უმკურნალა საშას - აბა, უკაპიტნოდ ხომ არ ითამაშებდნენ ფინალში! და საშა ჩივაძის, მთლიანად "დინამოს" და ქართული ფეხბურთის დაუვიწყარი კადრები: უეფას პრეზიდენტი არტემიო ფრანკი ევროპის თასების მფლობელთა თასს "დინამოს" კაპიტანს საშა ჩივაძეს გადასცემს!

***"თბილისის "დინამო" ჩემთვის კარგად ნაცნობი გუნდია. ჩვენი ჟურნალი ხშირად წერს ამ გუნდის შესახებ. დინამოელებს მაღალი კლასის, საერთაშორისო რეპუტაციის ფეხბურთელები ჰყავთ, პირველ რიგში ყიფიანსა და ჩივაძეს დავასახელებ. თასების თასის ტურნირში "დინამოს" გამარჯვება კანონზომიერია".***

***კარლ-ჰაინც ჰაიმანი - "კიკერის" რედაქტორი***

1982 წლის ესპანეთში გამართულ მსოფლიო ჩემპიონატზე ნაკრების კაპიტანს შოტლანდიასთან თამაშისას სველ მინდორზე ფეხი დაუცდა და სკოტების ფორვარდს ჯორდანს უნებლიეთ საგოლე პასი მისცა... უნდა გენახათ საშას თამაში ამ უიღბლო მომენტის შემდეგ! მეორე ტაიმში იგი იყო გუნდის ყველა შეტევის წამომწყები და მსოფლიო ჩემპიონატზე ქართველი კაპიტნის მიერ შოტლანდიელთა კარში გატანილი გოლი სათამაშო სამართლიანობის გამომხატველი გახლდათ. კვლავ მომეძალა ნაღვლიანი მოგონება საქართველოს ნაკრების ამასწინანდელი ოთხდღიანი პანაშვიდიდან: თურქებთან პირველ ტაიმში მინიმალური ანგარიშით ვაგებდით და ამ დროს ნაკრების ერთ-ერთმა ვარსკვლავად შერაცხულმა "ციცინათელამ" მოედნის ცენტრში სრულიად უადგილო მატაობისას მუქთად ჩააბარა ბურთი მეტოქეს საგოლე შეტევის წამოსაწყებად, შემდეგ მოხდა უფრო უარესი - კარისკენ დაძრული მეტოქის გამოკიდება დაეზარა, უფრო სწორად და თანამედროვედ რომ ვთქვათ, "დაიკიდა" და ჩვენს კარში მესამე გოლი გავიდა... მეორე ტაიმში უკვე ნაკრების კაპიტანს მოუვიდა თითქმის იგივე და თურქების მიერ გატანილი მეოთხე გოლის შემდეგ მინიმალური სხვაობა ისევ უიმედოდ გაიზარდა. სწორედ მაშინ გამახსენდა ის ძველი, ნაღდი ვარსკვლავი და ულალატო კაპიტანი საშა ჩივაძე და მისი მოქმედება დაახლოებით ანალოგიურ სიტუაციაში. დღევანდელი ნაკრების "ციცინათელებს" აქა-იქ იშვიათი გამონათებით ვარსკვლავობამდე და ჩივაძეობამდე ბევრი უკლიათ.

თავისი ბრწყინვალე კარიერის ბოლომდე საშამ იმ დონის ფეხბურთი ითამაშა, მას რომ ეკადრებოდა. დამოუკიდებელი ქვეყნის ნაკრების მწვრთნელობის პირველი პატივიც ჩივაძეს ერგო, მერე მეორედ დააბრუნეს ნაკრებში. ზოგი "ტრაინერისგან" განსხვავებით, ნაკრებში დანიშვნისთვის საშას არავისთვის კალთა არ დაუხევია, ორჯერვე ძლივს დაითანხმეს. ორჯერვე თავისით წავიდა, იმ "ტრაინერს" არ დამსგავსებია, ძლივს რომ აადღლიზეს ნაკრებიდან და ახლაც რომ შორიდან გვიგზავნის "მესიჯებს"... წარმატებაც იყო და უფრო მეტი წარუმატებლობაც, თუმცა, დღევანდელი გადასახედიდან მაშინდელი შედეგები სანატრელიც კი გაგვიხდა. არ დამავიწყდება საშას ბოლო პრესკონფერენცია, როცა მეორედ მიდიოდა ნაკრების მწვრთნელის პოსტიდან. მაშინ სიტყვაძუნწმა ჩივაძემ აღარ დამალა სატკივარი და დანანებით გაიხსენა: "ეჰ, რა ბედნიერი მწვრთნელი იყო ნოდარ ახალკაცი, მას ხომ მინდორზე სამი-ოთხი მოთამაშე-დირექტორი ჰყავდაო"... მიხვდი, ალბათ, მკითხველო, ვის და რას გულისხმობდა საშა.

ისევ თურქებს მივუბრუნდები, ბოლო ხანს ვინც "დაგვაფასა". ორი წლის წინ, აგვისტოს ხვატში, ტრაბზონში ვეთამაშეთ "ამხანაგურად". შედეგი რა გასახსენებელია, სხვა რამ მინდა მოვიგონო. თამაშის წინა ღამეა. მოთამაშეები ნომრებში შეიკეტნენ დასაძინებლად. საშა სასტუმრო "უსტას" ჰოლში შემხვდა და მთხოვა, გარეთ გავიაროთო. იქვე, სასტუმროსთან ახლოს, ბაღია, სადაც ფინჯან ყავაზე საუბარში ლამის დაგვათენდა. ძალიან აფორიაქებული და გულნატკენი ჩანდა. ნაკრების ერთ-ერთ ყველაზე ცნობილ "ციცინათელაზე" მითხრა დანანებით: "ბუცი გაეხსნა და ისეა წონაში მომატებული, ძლივს დაიხარა, რომ შეეკრა. არადა, რომ ჰკითხო, პროფესიონალია და ძალიან მაგარია"... მერე თურქებთან ფეხბურთელობისდროინდელი შეხვედრები გაიხსენა: მაგ შენოლ გიუნეშისთვის (თურქეთის ნაკრების მაშინდელი მთავარი მწვრთნელი - გ.გ.) გოლი მაქვს გატანილიო...

დღეს საშა ჩივაძის ცხოვრებაში მნიშვნელოვანი და მრგვალი თარიღია. ჩვენ კი გავიხსენოთ, როგორი იმედიანი და შინაგანად ამაყნი ვიყავით, როცა დიქტორი სტადიონზე გამოაცხადებდა: №3 - გუნდის კაპიტანი ალექსანდრე ჩივაძე! გავიხსენოთ და მადლობა ვუთხრათ.

## ინფოთეკა

### შევჩენკოს გეგმები მხოლოდ "მილანს" უკავშირდება

"მილანის" უკრაინელმა თავდამსხმელმა ანდრეი შევჩენკომ L'Equipe-სთან ინტერვიუში განაცხადა, რომ "ჩელსის" მფლობელთან რომან აბრამოვიჩთან მეგობრობის მიუხედავად, უახლოეს მომავალში ინგლისურ კლუბში გადასვლას არ აპირებს.

"ჩემი მომავალი "მილანშია". ამჟამად სხვა გუნდში თამაში ვერ წარმომიდგენია. სწორედ, "მილანში" გავხდი პროფესიონალი ფეხბურთელი. ვნახოთ, რა მოხდება კონტრაქტის ვადის გასვლის შემდეგ. მისი პირობების თანახმად, აქ 2009 წლამდე ვრჩები. რაც შეეხება აბრამოვიჩს, მას ძალიან დიდ პატივს ვცემ, ხშირად ვხვდები. ამ ადამიანს გულწრფელად უყვარს ფეხბურთი", - განაცხადა შევჩენკომ.

### "ასტონ ვილა" "ჩელსის" ფეხბურთელს უმიზნებს

ინგლისური კლუბის "ასტონ ვილას" მთავარი მწვრთნელი დევიდ ო`ლირი ამ ზაფხულს გუნდში "ჩელსის" ორი ფეხბურთელის მიწვევას აპირებს. საქმე ეხება სკოტ პარკერსა და რობერტ ჰუტეს, რომელთა შეძენისთვის "ასტონ ვილა" მზადაა, 20 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს.

აღსანიშნავია ისიც, რომ პარკერის შეძენა უნდა "ბირმინგემს", ჰუტისა კი - მიუნხენის "ბაიერნს".

### "არსენალი" "ბრეშიას" ფეხბურთელის შეძენას გეგმავს

უახლოეს ხანში ლონდონის "არსენალი" კონტრაქტს გააფორმებს "ბრეშიას" თავდამსხმელთან ანდრეა კარაჩიოლოსთან. ამჟამად "მეთოფეთა" მთავარი მწვრთნელი არსენ ვენგერი მოლაპარაკებას აწარმოებს იტალიური კლუბის ხელმძღვანელობასთან ფეხბურთელის ტრანსფერის შესახებ მიმდინარე სეზონის დასასრულისთვის. იტყობინებიან, რომ "არსენალი" მზადაა, კარაჩიოლოში 6,5 მილიონი გირვანქა სტერლინგი გადაიხადოს, თუმცა, "ბრეშია" 8 მილიონს ელოდება.

### მოურინიოს არავისთან არ ულაპარაკია

უეფამ განაცხადა: იმის დამამტკიცებელი საბუთი, რომ ლონდონის "ჩელსის" დისკვალიფიცირებული მთავარი მწვრთნელი ჟოზე მოურინიო ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალში "ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩის დროს ფარულად უკავშირდებოდა დამხმარეებსა და ფეხბურთელებს, არ არსებობს.

მოურინიოს დამხმარემ ბალტემარ ბრიტუმ განაცხადა, რომ "ჩელსის" მწვრთნელი "ბაიერნის" წინააღმდეგ მატჩს ტელევიზორით ადევნებდა თვალს.

შეგახსენებთ: უეფამ პორტუგალიელი სპეციალისტი იმიტომ დასაჯა, რომ მან შვედ არბიტრს ანდერს ფრისკეს "ბარსელონას" მწვრთნელთან ფრანკ რაიკარდთან საუბარში დასდო ბრალი.

### "მილანის" ბიუჯეტი 2,3 მილიონი გირვანქა სტერლინგით შეივსო

იტალიური მასობრივი საინფორმაციო წყაროების ცნობით, ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალურ ეტაპზე "ინტერის" წინააღმდეგ მატჩის ბილეთების გაყიდვის დროს "მილანმა" რეკორდული თანხა დააგროვა - 78 958 ბილეთის გაყიდვით 2,3 მილიონი გირვანქა სტერლინგი მიიღო.

### სავიო "სარაგოსაში" კიდევ დიდხანს ითამაშებს

"როიტერსის" ცნობით, "სარაგოსას" ბრაზილიელმა ფორვარდმა სავიომ კლუბთან კონტრაქტის ვადა ორი წლით გაზარდა.

"კმაყოფილი ვარ, რადგან "სარაგოსაში" დარჩენა ძალიან მინდოდა," - განაცხადა 31 წლის ფეხბურთელმა, რომელიც ადრე მადრიდის "რეალის" ღირსებას იცავდა.

"სარაგოსასთან" სავიოს მოქმედი კონტრაქტი 2005 წლის ივნისში იწურება.

### "რეალის" ფეხბურთელებს ჩემპიონობის იმედი ჯერ კიდევ აქვთ

Triballfootball-ის ცნობით, მადრიდის "რეალის" ფეხბურთელებმა მიჩელ სალგადომ და რობერტო კარლოსმა "ბარსელონასთან" მატჩის წინ (შეხვედრა 10 აპრილს გაიმართება!) განაცხადეს, რომ თუ "ბარსას" დამარცხებას შეძლებენ, პირველი ადგილისთვის უფრო გამეტებით დაიწყებენ ბრძოლას, რადგან ჩემპიონობის შანსი გაუჩნდებათ.

"თუ "ბარსელონასთან" დავმარცხდებით, ქვეყნის ჩემპიონატის მოგების ყოველგვარ იმედებს უნდა დავემშვიდობოთ. თუმცა, ჯერ ამაზე საუბარი ნაადრევია. წინ სერიოზული ბრძოლა გველის," - განაცხადა სალგადომ.

### მწვრთნელები "მილანი" - "ინტერის" მატჩის შესახებ

"მილანისა" და "ინტერის" მთავარმა მწვრთნელებმა შეაფასეს ჩემპიონთა ლიგის მეოთხედფინალური მატჩი, რომელიც "მილანის" გამარჯვებით დამთავრდა (2:0). მათ ასევე ისაუბრეს საპასუხო მატჩის შესახებაც.

"ინტერის" თავკაცმა რობერტო მანჩინიმ განაცხადა, რომ მისი გუნდი პირველ ტაიმში მოწინააღმდეგე გუნდზე უკეთესად თამაშობდა.

"საკმაოდ რთული შეხვედრა იყო. ორმა სტანდარტულმა მდგომარეობამ გადაწყვიტა მატჩის ბედი. პირველი ტაიმი "მილანზე" უკეთესად ჩავატარეთ. საპასუხო შეხვედრაში ვეცდებით, ორი ბურთი მაინც გავიტანოთ. ამისთვის კი თავდასხმის გაუმჯობესებაა საჭირო," - განაცხადა მანჩინიმ.

რაც შეეხება "მილანის" მწვრთნელს კარლოს მანჩინის, შეხვედრის შემდეგ მან განაცხადა, რომ მატჩი ზუსტად ისე ჩატარდა, როგორც ამას თავად მოელოდა.

"ჩემი იმედები გამართლდა. ორივე გუნდი მოგებისთვის იბრძოდა, მაგრამ გადამწყვეტ მომენტში "ინტერს" ვაჯობეთ. საპასუხო შეხვედრა იოლი არ იქნება. "ინტერი" კარგი გუნდია, რომელსაც ძლიერი თავდამსხმელები ჰყავს. ჩვენ ისევ იმ დონეზე უნდა ვითამაშოთ, როგორც ამ შეხვედრისას. ბედნიერი ვარ, რომ შევჩენკო გამოჯანმრთელდა", - განაცხადა ანჩელოტიმ.

**მოამზადა ნინო ტიკარაძემ**







თქვენი რეკლამა ჩვენს გაზეთში
20-24-04
20-00-24




## წამალი "სალხინო"
### ქართული ფლორის საოცრება

თუ გაწუხებთ პროსტატიტი, ცისტიტი, ქალური და შარდ-სასქესო ორგანოების დაავადებები; როცა შეიმჩნევა შენელებული და გახშირებული შარდვა, შარდვის დროს წვა, შარდსადენი ხვრელის ბაგეთა მიწებება, სუნი ან გამონადენი; აგრეთვე ტკივილი წელის, გავის ძვლის, თირკმელების არეში; შარდის წვეთ-წვეთად გამოყოფა, მოშარდვის სურვილის დაუკმაყოფილებლობა, როცა ვითარდება სექსუალური მოშლილობა და იმპოტენცია,მიიღეთ წამალი "სალხინო" და ეს პრობლემები მოგეხსნებათ.

"სალხინო" აწესრიგებს კუჭ-ნაწლავის მოქმედებას და ხსნის ტკივილებს.

"სალხინო" გამოიყენება ჩირქოვანი და ჩირქმბადი ინფექციების სამკურნალოდ, ნაღვლის ბუშტის (ქოლეცისტიტი), ჰეპატიტის, გასტრიტის, ნეფრიტის, გინგივიტის, სტომატიტის, ბრონქიტის და სხვა პათოლოგიური დაავადებების დროს. "სალხინო" აქრობს პირის ღრუდან უსიამოვნო სუნს. წამალი "სალხინო" კურნავს სარძევე ჯირკვლების დაავადებებს - მასტოპათიას, მასტიტს. თუ გამოიყენებთ მშობიარობის შემდეგ, აიცილებთ მასტიტს და გაიუმჯობესებთ ბავშვის კვებას საკუთარი რძით.

წამალ "სალხინოს" თვისებები აპრობირებულია და მოწონებულია საქართველოს, რუსეთის, აზერბაიჯანისა და სხვა ქვეყნების ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროების მიერ, იგი რეგისტრირებულია. მიღებული აქვს სახელმწიფო პატენტები და ლიცენზია.

იკითხეთ და შეიძინეთ აფთიაქებში.

წამლის ფასი საქართველოს ტერიტორიაზე სამი (3) დოლარის ეკვივალენტს არ უნდა აღემატებოდეს ლარებში.